# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 3 სექტემბერი, 2014 წელი.

№177 (7558)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# თბილისიდან ქუთაისში მოსეირნენი და კარს მომდგარი ხალხის რისხვა



**საქართველოს პარლამენტის უნიკალურმა, საუკუნის შენობამ თბილისში ისტორიული ფუნქცია აღიდგინა. გუშინ დეპუტატთა უმრავლესობა ბიუროს სხდომას სწორედ რუსთაველის 8-ში განთავსებულ აპარტამენტში დაესწრო. მაგრამ... არ მივიდნენ ნაძირალა ნაციონალები, ვითომც კონსტიტუციის დიდი პატივისმცემელნი არიან. რა დაუცხრომელი ამბიციები იმალებოდა ამ პროტესტის უკან, ყველამ კარგად ვიცით. წესით, მართლაც და რა ნამუსით უნდა შესულიყვნენ იმ შენობაში, რომელიც ერთი არანორმალური კაცის ხუშტურების გამო გააპარტახეს, დაანგრიეს და ისტორიის ეს უნიკალური ძეგლი მინგრეულ-მონგრეული დატოვეს. ამიტომაც თქვა პარლამენტარმა ეკა ბესელიამ, რეაბილიტირებულ შენობაში შესვლა შესაძლოა ნაციონალური მოძრაობისთვის ბარიერი აღმოჩნდესო: „მათ ფსიქოლოგიური პრობლემა აქვთ. როგორ ბარბაროსულად მოექცნენ ამ შენობას, იატაკი აყრილი იყო, ჭაღები ჩამოხსნილი, აბსოლუტურად გაძარცული. რბილად რომ ვთქვათ, სამართლებრივად დიდი ზიანი მიადგა სახელმწიფო ბიუჯეტს“.**

სამშობლოსთვის „თავგადაკლული“ ნაციონალების უცნაური აკვიატება მილიონები დაუჯდა ქვეყანას. ჯერ ის უგვანო, უემოციო, შემინულ-გაშუშებული შენობა ქუთაისში, გოგორიშვილის „გარშოკად“ აღიარებული მახინჯა 350 მილიონზე მეტი დაჯდა... ახლა თბილისის შენობის მოწესრიგებამ 25 მილიონი შეისრუტა.

რა მოიგო ამით მოსახლეობამ. ან რაიმე ხეირი ნახა ქუთაისმა და ქუთაისელებმა? ან რამე მოიგო თბილისმა და თბილისელებმა? — ნამდვილად არაფერი. მხოლოდ ათიოდე ქუთაისურმა ოჯახმა გააქირავა ბინა პარლამენტარზე და პურის ფული იშოვა...



სხვათა შორის, ძალიან კარგად ამბობს ენერგეტიკის მინისტრი, ვიცე-პრემიერი კახი კალაძე: **„იცით, ეს რისი ბრალია? — კოჰაბიტაციის თავსმოხვეული რეჟიმი რომ დავუშვით, რომელსაც თავიდანვე ჩანდა, რომ ბოროტად გამოიყენებდნენ ნაციონალები საზოგადოების და ქვეყნის საზიანოდ!**

დასტურ რომ ასეა!..

იმედია, თბილისში ფუნქციადაბრუნებული პარლამენტი პრინციპულობის, სამართლიანობის სიმბოლო გახდება და „ოცნების“ ხელისუფლებაც უფრო აქტიურად აიღებს ხელში ძალაუფლებას!

ნაციონალების ვირეშმაკური პოზიცია კი სხვა არაფერია, თუ არა მტრობა, რომელიც მიზანმიმართულად შეიძლება არგუნო ქვეყანას და საკუთარ ხალხს.

**მინდა, ძალიან მარტივად აგიხსნათ, რომ კანონის დარღვევას ადგილი არ აქვს, — უპასუხა ნაციონალების ბრალდებას ეკა ბესელიამ, — კონსტიტუციაში წერია, რომ სასესიო სხდომები იმართება ქუთაისში. ასეც იქნება. რაც შეეხება საკომიტეტო და დეპუტატების მუშაობას, ის შეიძლება წარიმართოს თბილისში, რაც ძალიან დაეხმარება პარლამენტს, გამოიყენოს თავისი ბიუჯეტის დარჩენილი რესურსი, რომელსაც ტერიტორიული და სხვა ბევრი პრობლემის გამო, ორი წლის განმავლობაში ვერ ვიყენებდით. ასე რომ, კანონი დაცულია!“**

არ არის დაცული კანონი, ქალბატონო ეკა! ნებისმიერი კანონი და თვით კონსტიტუციაც კი ფარატინა ქაღალდია, თუ ის ხალხის, ამომრჩევლის, ქვეყნის თითოეული მოქალაქის სასარგებლოდ არ მუშაობს. თბილისიდან ქუთაისში მიმომქროლი პარლამენტარები აუარება, ზედმეტ საბიუჯეტო თანხებს კვლავაც დახარჯავენ და გაჭირვებულ ადამიანებს ნერვებს კვლავაც მოუშლიან. განა შეიძლება ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (ტვინნაღრძობი ნაციონალების მხარდამჭერთა გარდა), ასე ადვილად აპატიოს უმცირესობის ორმოციოდე წარმომადგენელს ხალხის აბუჩად აგდება და მიშისტური კონსტიტუციის აბსოლუტურად მიუღებელი მუხლები?

რა უნდოდა პარლამენტს ქუთაისში? მთავარი საკანონმდებლო ორგანო დედაქალაქში უნდა მუშაობდეს და მიშას კონსტიტუციიდან ის იდიოტური მუხლი რამდენიმე თვეში უნდა გაქრეს!

**ეს ხალხის, ამომრჩევლის მოთხოვნაა და უფრთხილდით სამართლიანად გაბრაზებული ხალხის რისხვას!**

**ვახტანგ ქუთათელაძე**

# ბერძნებმა სააკაშვილი 4 საათით „დაიჭირეს“

**საბერძნეთში** საქართველოს ელჩის დავით ბაქრაძის ინფორმაციით, გემი, რომლითაც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აჭარის მთავრობის ექს-თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე თურქეთიდან საბერძნეთის მიმართულებით მგზავრობდნენ, კუნძულ სამოსზე ოთხი საათით შეაყოვნეს.

როგორც დავით ბაქრაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ამის თაობაზე საელჩოში ინფორმაცია კუნძულ სამოსის პოლიციის განყოფილებიდან შევიდა.

„მე მაქვს ინფორმაცია, რომელიც მოგვაწოდა საბერძნეთის კუნძულ სამოსის პოლიციის განყოფილების უფროსმა დიმიტრი კაპაკიდისმა. ინფორმაციის მიხედვით, გუშინ, 18:00 საათზე, თურქეთის მხრიდან, კუნძულ სამოსზე შევიდა ბრიტანეთის დროშის ქვეშ მცურავი იახტა, რომლის ბორტზე საქართველოს მოქალაქეებიც, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილი და ლევან ვარშალომიძე იმყოფებოდნენ. ადგილობრივი პოლიციის ცნობით, სასაზღვრო კონტროლის დროს მიხეილ სააკაშვილის პასპორტის შემოწმებისას გამოჩნდა ინფორმაცია, რომ საქართველოს მხარის მიერ შესულია მოთხოვნა პირის დაკავებასთან დაკავშირებით, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ პროცედურები დასრულებული არ არის, საბერძნეთს არ ჰქონდა პირის დაკავების საფუძველი. მათივე თქმით, გემი კუნძულზე ოთხი საათით დააყოვნეს, რის შემდეგაც უკან გაბრუნდა თავისი ეპიკაჟის შემადგენლობით. ეს არის საბერძნეთის სამართალდამცავების, კერძოდ კი, სამოსის პოლიციის განყოფილების უფროსისგან მიწოდებული ინფორმაცია“, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მიხეილ სააკაშვილის მიმართ საერთაშორისო ძებნის პროცედურები მიმდინარეობს. როგორც მთავარ პროკურატურაში განმარტავენ, პროცედურები მას შემდეგ დაიწყო, რაც საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს დაუსწრებლად პატიმრობა შეეფარდა.



# რაულ ჩილაჩავა: რუსეთი ჩერდება მხოლოდ იქ, სადაც გააჩერებენ

5



## მწერალი ბორის აკუნინი „პუტინისტური რუსეთიდან“ მიდის

# საქართველოს პატრიარქი მშვიდობისთვის ლოცულობს



**საქართველოს პატრიარქი აღმოსავლეთ უკრაინაში მშვიდობისთვის ლოცულობს. დონეცკის ეპარქიის ინფორმაციით, ამის შესახებ საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დონეცკისა და მარიუპოლის მიტროპოლიტ ილარიონს სატელეფონო საუბრისას განუცხადა.**

დონეცკის ეპარქიის მიერ გავრცელებული განცხადებით, სატელეფონო საუბრისას ილია მეორე დონეცკის ეპარქიის საეკლესიო ამბებით დაინტერესდა.

„დონეცკისა და მარიუპოლის მიტროპოლიტმა ილარიონმა მის უწმინდესობას თხოვნით მიმართა, ილოცოს იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და მშვიდობიანი მოსახლეობისთვის, რომლებიც საომარი მოქმედებებისას დაზარალდნენ. თავის მხრივ, საქართველოს პატრიარქმა დაარწმუნა მიტროპოლიტი ილარიონი ძმურ მხარდაჭერასა და დონეცკის მიწაზე მშვიდობისთვის ლოცვაში“, – ნათქვამია დონეცკის ეპარქიის განცხადებაში.

დონეცკის ეპარქიის ცნობით, სატელეფონო საუბარი 31 აგვისტოს შედგა.

# პირველ განცხადებებს 5 სექტემბერს განიხილავს

**პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილი „სოლიდარობის ფონდი“ დაფინანსების მსურველთა პირველ განცხადებებს 5 სექტემბერს განიხილავს.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სოლიდარობის ფონდიდან“ აცნობეს, მუდმივმოქმედი კომისიის პირველ სხდომაზე, 25 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით მიღებული განცხადებები განიხილება, რის შემდეგაც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნეების მქონე ბავშვების კონკრეტული ფინანსური დახმარების შესახებ.

„საქართველოს სოლიდარობის ფონდს“, უკვე 23 000-ზე მეტი საჯარო მოხელე და ასობით მოქალაქე შეუერთდა. 31 აგვისტოს მონაცემებით, ფონდში მობილიზებულია 124 458 ლარი (ივლისში ჩარიცხულია 30 023 ლარი, აგვისტოში – 94 453 ლარი).

„სოლიდარობის ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი მარიამ ჯაში თითოეულ მოქალაქეს მადლობას უხდის და განმარტავს, რომ ნებისმიერი დონაცია, მოცულობის განურჩევლად, უაღრესად მნიშვნელოვანია.

„ყოველთვიური დონაციის შედეგად მობილიზებული თანხით საშუალება გვეძლევა, 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნით დაავადებული ბავშვებისთვის სრულად დავფაროთ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ფინანსური საჭიროებები, რომელიც, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების პარალელურად, ჯერ კიდევ რჩება. დღევანდელი მხარდაჭერა გვარწმუნებს, რომ საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით, საქართველოში შესაძლებელია როგორც ონკოლოგიური, ასევე ეტაპობრივად სხვა მძიმე სნეულებებით მცხოვრები ბავშვებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მობილიზება“, – განაცხადა მარიამ ჯაშმა.

# იცავენ კონტრაქტორთა უსაფრთხოებას

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან აცნობეს, სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები ყანდაღარის პროვინციაში აშშ-ის სამოქალაქო კონტრაქტორების უსაფრთხოებას უკვე თვეზე მეტია, იცავენ.** ისინი კონტრაქტორების გადაადგილებასა და ავღანურ ბაზაზე მათი საქმიანობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. ქართველ სამხედროებს სამოქალაქო კონტრაქტორები ყანდაღარის საავიაციო ბაზიდან ბაზა HERO-ზე ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორებით გადაჰყავთ. კონტრაქტორების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადგილზე, ბაზა HERO-ზეც გრძელდება. აშშ-ის სამოქალაქო კონტრაქტორები ავღანელებს სამხედრო ბაზა HERO-ზე სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციას და რემონტს ასწავლიან.



საქართველოს შეიარაღებული ძალების სამთო-სადაზვერვო ბატალიონის სამხედროებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ამოცანების წარმატებით შესრულებისთვის სერტიფიკატებიც გადაეცათ.

ყანდაღარის საავიაციო ბაზაზე დისლოცირებული სამთო-სადაზვერვო ბატალიონი ISAF-ის მისიას რამდენიმე თვეში დაასრულებს და სამშობლოში დაბრუნდება.

**რეზონანსი**

# აუცილებელია კომპეტენტური სახელმწიფო კომისიის შექმნა

## ეხმაურებიან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2014 წლის 30 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ სტატიას „დივერსია საქართველოს წინააღმდეგ“



**იმის გათვალისწინებით, რომ მაღლივკაშხლიანი და დიდწყალსაცავებიანი ჰიდროელექტროსადგურები მაღალი რისკის ობიექტებს განეკუთვნებიან, ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შეიქმნას შესაბამისი სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული სახელმწიფო კომისია.**

**საქართველოს ენერგეტიკის აკადემია გამოთქვამს კომისიის მუშაობაში მონაწილეობისთვის მზადყოფნას.**

**რევაზ არველაძე,**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი;**
**ანზორ ჭითანავა,**
**საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.**

# სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა

**სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია დასრულებულია. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, პროექტი, რომლის შედეგად შიდა ქართლში გამყოფი ხაზის მიმდებარე 39 სოფლის 20 ათას ჰექტარამდე მიწის სარწყავი სისტემა გაუმჯობესდა, 18 ათას ოჯახს მოუტანს სარგებელს.**

რეაბილიტებული სარწყავი არხი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით შავლიაშვილმა, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა და მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ამაშუკელმა გახსნეს.

ღონისძიებას საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი, საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის დირექტორი ვაჟა კირტავა, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მისიის დირექტორი სტეფან ჰაიკინი, შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სალთვისი-ტირიფონის საირიგაციო სისტემის რეაბილიტაცია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით განახორციელა. პროექტის ღირებულება 14 მილიონ ლარს აჭარბებს. სარწყავი არხის რეაბილიტაციის პროცესში 100-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლე იყო დასაქმებული.

სალთვისის და ტირიფონის საირიგაციო სისტემების მაგისტრალური არხები ოკუპირებული ტერიტორიის ე.წ. საზღვარს მიუყვება.

ტირიფონის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციით 14 სოფლის 8500 ჰექტარამდე სახნავ-სათესი მიწის მორწყვა გახდება შესაძლებელი. ეს სოფლებია ერგნეთი, მეღვრეკისი, ბროწლეთი, ტირძნისი, თერგვისი, კარბი, ქერე, ტყვიავი, ფლავი, ფლავისმანი, ქვეში, ქიწნისი, მარანა, კარალეთი.

სალთვისის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციით განსაზღვრულია 9700 ჰექტარამდე 16 სოფლის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია.

**საგანგებო სიტუაცია**

# გვჭირდება ამდენი აფრიკელი ლტოლვილი?..

**საქართველოსთან უვიზო რეჟიმი 24 ქვეყანას გაუუქმდა, 94 ქვეყნისთვის კი კვლავ უვიზო რეჟიმი იმოქმედებს. ამ ქვეყნებს შორის არიან ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყნები, აგრეთვე მეზობელი ქვეყნები, საიდანაც ტურისტების დიდი ნაკადი შემოდის. უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანამდე, უვიზო რეჟიმით 118 ქვეყანა სარგებლობდა.**

იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებთანაც უვიზო რეჟიმი მოქმედებს, ქვეყანაში დარჩენა 90 დღით შეეძლებათ, ნაცვლად ადრე განსაზღვრული 360 დღისა.

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს საქართველოში შემოსვლა შეუძლიათ სამგზავრო დოკუმენტის, ასევე – ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მიერ გაცემული პირადობის მოწმობის საფუძველზე. საქართველოში უვიზოდ შემოსვლისა და ნებისმიერ 180-დღიან პერიოდში 90 კალენდარული დღის ვადით უვიზოდ ყოფნის უფლება აქვთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ან მისი სპეციალიზებული სააგენტოების მიერ გაცემული სამგზავრო დოკუმენტის ლესე-პასეს (Laissez-Passer) მფლობელ უცხოელებს.

იგივე წესი ვრცელდება იმ ქვეყნის მოქალაქეებზეც, რომლებთანაც საქართველოს გააჩნია ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები უვიზო მიმოსვლის შესახებ, რომელშიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის კონკრეტული ვადები (აზერბაიჯანი, ბელარუსი, სომხეთი, ტაჯიკეთი, მოლდოვა, უზბეკეთი, უკრაინა, ყირგიზეთი). საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის შეფასებით, ახალი სავიზო რეგულაციები თანხვედრაში მოდის ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმასთან. მისივე განცხადებით, ეს არის მიგრაციის საკითხის დასარეგულირებლად წინგადადგმული ნაბიჯი, რომელსაც ძალიან დიდი მუშაობა უძღოდა წინ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთან უვიზო რეჟიმი 24 ქვეყანას გაუუქმდა, საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ჩქარობს ამ ქვეყნების გასაჯაროვებას. პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი for.ge-სთან საუბრისას ამბობს,



რომ მთავარობის უკანასკნელი გადაწყვეტილება წინგადადგმული ნაბიჯია იმისათვის, რომ ქვეყანაში რეალურად ამოქმედდეს კანონი მიგრაციის შესახებ. თუმცა, პოლიტოლოგისთვის გაუგებარია აფრიკულ თუ აზიურ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის დაწესება რა მოგებას მოუტანს ქვეყანას როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

**„ჩვენმა საგარეო საქმეთა სამინისტრომ ის სიაც გამოაქვეყნოს, საქართველოს მოქალაქეებს რომელ ქვეყნებში აქვთ უვიზოდ ჩასვლის უფლება. ეს არის მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილი და თურქეთი. ისრაელმა ამდაგვარი გამოაცხადა, მაგრამ ტექნიკურად არაა მომზადებული.**

**ჩვენ კი, ისეთი ქვეყნების მოქალაქეების მიმართ გავხდით ხელგაშლილი, რომელთა მოძიებაც კი გაგვიჭირდება რუკაზე. ამიტომ საუბარი იმაზე, რომ სავიზო რეჟიმი გამკაცრდა, მართებული არ არის. უბრალოდ, მიგრაციის კანონის ამოქმედების შანსი გაგვიჩნდა“,** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილი.

პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის განმარტებით, ევროკავშირთან კონტაქტი კარგია, მაგრამ ამ კონტაქტებმა ქვეყნისთვის ცუდი შედეგები არ უნდა გამოიწვიოს. მისივე განცხადებით, უვიზო რეჟიმი აფრიკისა და აზიის ქვეყნებთან საქართველსთვის სიკეთის მომტანი არანაირად არ იქნება.

რასაკვირველია, ევროპას აინტერესებს, რაც უფრო მეტი ქვეყანა იქნება გახსნილი აფრიკელი ლტოლვილებისთვის. თვითონ ევროპა ვერ ერევა ამოდენა მასას. ყოველდღე 200-500 აფრიკელი ლტოლვილი ჩადის იტალიაში და იქიდან კი, ევროპაში გადადიან. ასეთ პირობებში ევროპისთვის კარგია, რაც უფრო მეტი ქვეყანა შეიწოვს ამ ლტოლვილებს.

საქართველოს სჭირდება ამდენი ლტოლვილი, როდესაც ქვეყანაში ტოტალური უმუშევრობაა?! რასაკვირველია – არა. ვფიქრობ, რომ, ჩემი აზრით, ეს არაა სწორი პოლიტიკა. ევროკავშირთან კონტაქტები კარგია, მაგრამ ისე არ უნდა გამოგვივიდეს, რომ კარგს უკვე მოჰყვეს ცუდი. ქვეყნისთვის ძალიან ცუდია აფრიკულ ქვეყნებთან უვიზო რეჟიმის ამოქმედება“.

**ნანა სანიკიძე**

◉ თანსინადეფსიანები



# ბრაზიანი დედაბერი და პირგამეხებული სააკაშვილი



**იმ დედაბერზე მოგახსენებთ, ერთი ანდაზის თანახმად, შიგადაშიგ „მარცხი“ რომ მოსდიოდა ხოლმე და ამაზე თავადვე ბრაზობდა.**

**ბარემ სააკაშვილის პირგამეხების მიზეზსაც აქვე მოგახსენებთ:**

> **„მე, მაგალითად, სულ არ მომწონს, — თქვა მან სარფში, — რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი ასე დაკნინდა, ასე ეპყრობიან. იმიტომ კი არა, რომ არანაირი პიროვნული ის არა მაქვს... მაგრამ ინსტიტუტი არ უნდა კნინდებოდეს... პრეზიდენტს ეგრე არ უნდა ეპყრობოდნენ“...**

ასე რომ, ორივეს ჰქონდა მიზეზი, მაგრამ თუ დედაბერი თავის თავს და ერთ ორგანოს უბრაზდებოდა, რატომ ხარ ეგეთი უნიათო „მეკარეო“, ამ სააკაშვილისა ვერაფერი გამიგია: **ისე გვიბრაზდება, თითქოს ხელისუფლების განშტოებებს შორის უფლებამოსილების განაწილების მხრივ სადღეისოდ ჩვენს კონსტიტუციაში არსებული დომხალი მთლიანად სწორედ მისი და მისივე თანაგუნდელების „დამსახურება“ არ იყოს. თითქოს თვითონვე, არსებული კონსტიტუციით პრეზიდენტობის ორი ვადის ამოწურვის შემდეგ პირველკაცობის უფლების არმქონეს, არ მიეგნოს „გენიალური“ გამოსავლისთვის.**

ხომ ყველამ ვიცით, რომ სწორედ მისი დავალებით, ავთანდილ დემეტრაშვილის თავმჯდომარეობით, შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, რომელმაც რამდენიმეთვიანი მუშაობით პრეზიდენტის ინსტიტუტი ფაქტობრივად არარაობად აქცია პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების განუზომლად გაზრდის ხარჯზე (თანაც, როგორც დააკანონეს, ეს ცვლილებები ლამის სამი წლის შემდეგ, 2013 წლიდან უნდა ამოქმედებულიყო, ანუ, როცა მიშას ყველაფერი, უწინარესად კი მუდმივი პრემიერობა, განაღდებული ექნებოდა).

ანუ თუ მანამდე პრეზიდენტი იყო შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე, რომელსაც შეეძლო ნებისმიერ დროს ამოერტყა პრემიერისთვის პანღური, თავში ჩაეცხო საფერფლე, ან ისე მიებეგვა, რომ იგი საზღვარგარეთ გამხდარიყო სამკურნალოდ წასაყვანი (ამის მაგალითები ხომ ყველას გვახსოვს), **ამ საკონსტიტუციო ცვლილებების მერე პრემიერი იქნებოდა ყველაფერი, პრეზიდენტი კი — ლამის ისეთივე სიმბოლური ფიგურა, როგორებიც გახლავან, თუნდაც, გერმანიის, იტალიის თუ სხვა ქვეყნების ამჟამინდელი პრეზიდენტები.**

მოკლედ, მიშა იმისთვის ემზადებოდა, რომ 2012 წლის პარლამენტში ნაცმოძრაობის გამარჯვების შემდეგ იგი პრემიერად აერჩიათ, **რითაც, ფაქტობრივად, ახდებოდა გნაცმოძრაობელთა სურვილი — ხელისუფლების სათავეში სულ მცირე 20-30 წლით ყოფნა.**

დიახ, სააკაშვილი „პერპეტუუმობილეს“ მსგავსი მუდმივი პირველკაცობისთვის კი ემზადებოდა, მაგრამ, ერთი ფრთიანი გამონათქვამის გადაფრაზირებით თუ ვიტყვით, **მიშა ბჭობდა და ბარაკი იცინოდა:** ობამამ ერთმნიშვნელოვნად უთხრა საპირველკაცო ფაციფუცით გართულ სააკაშვილს, ხელისუფლება მშვიდობიანად გადააბარეო და... ფააფუუ!

> **აი, ასე შეგვრჩა ხელთ, უკაცრავად და, გაუპატიურებული კონსტიტუცია, მისი გაბახებისთვის შემკვეთის მიერ დაჯილდოებული მთავარი შემსრულებლები (ავთანდილ დემეტრაშვილს კარგხელფასიანი სამსახური საქართველოში გაუშანსეს, ხოლო მის მოადგილეს თენგიზ შარმანაშვილს სომხეთში საქართველოს ელჩობა უბოძეს) და საკონსტიტუციო დომხალი (ნაცთა ამ კიდევ ერთი ჩაოხრებული საქმის გამოსწორება ახლა უწევს ხელისუფლებას სპეციალური საკონსტიტუციო კომისიის მეშვეობით).**

ახლა კი მოდგომია სააკაშვილი სარფის საზღვარს, ღობის იქიდან ენას და ბრანწს გვიჩვენებს და... შვიდი კოსტიუმისა და ერთი ქაშმირის პალტოს შეძენის გამო ქვეყანაში არ მიშვებენო, რომლებიც მანამდე ვითომ სახელმწიფო კანცელარიისთვის ჩააბარებინა.

**იმას როდის დააბრუნებ, მიშა, შენი უთავო პრეზიდენტობა-მთავარსარდლობით რომ დავკარგეთ — სამაჩაბლოს მიწებს, უცხოური გაზეთის კორესპონდენტთან საუბრისას ქვა-ღორღიან უვარგის ადგილებად რომ მოიხსენიე — იქ რუსებს მხოლოდ რაკეტების განლაგება შეუძლიათო! ან შენი სისულელით „ზემო აფხაზეთად“ მონათლულ ყოფილ კოდორის (დალის) ხეობას როგორ დააბრუნებ, საქართველოს ტერიტორიის იმ ერთადერთ ნაწილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში არასოდეს არც ერთ მომხდურს არ დაუპყრია, შენ კი, გარემონტებულ-გაკოპწიავებული, მართლაც ლანგრით მიართვი ოკუპანტს?**

**შენი უთავობით დაღუპული ბიჭების ხსოვნას რას ეუბნები, ან ათობით ათას ახალ ლტოლვილს?**

ეჰ, ჩამოთვლას რა აზრი აქვს!

ახლა კი ლამის ღიად მოუწოდებ ხალხს ბუნტისა და საბოტაჟისკენ, ხელისუფლებაში დაბრუნების დაუოკებელი სურვილი გკლავს.

**მაგრამ ერთხელაც დავწერე და ახლაც გავიმეორებ: ჩემი სოფლელი მეზობლის მოზვერი უფრო რეალურად მოიგებს უშოველს, ვიდრე შენი თავკაცობით დაბრუნდებიან ხელისუფლებაში გნაცმოძრაობელნი, რომელთაც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნისას შევუქმენი აბრევიატურა: თან-სი-ნა-დეფ-სიანები, ანუ თანდაყოლილი სინდის-ნამუსის დეფიციტის სინდრომიანები.**

რუსლან რუსია

◉ ალიანჩალიანი

## უკრაინელი ბავშვები გვესტუმრებიან

**უკრაინელი ბავშვების საქართველოში ჩამოყვანასა და დასასვენებელი-სარეაბილიტაციო კურსის გავლასთან დაკავშირებით საქართველოს საელჩოს მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.**

**ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში, რომელიც მაია ფანჯიკიძესა და მის უკრაინელ კოლეგას პავლო კლიმკინს შორის გამართულ სატელეფონო საუბარს ეხება. საუბრისას ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა უკრაინაში არსებული ვითარება მიმოიხილეს.**

**საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა შეშფოთება გამოთქვა ბოლო პერიოდში უკრაინაში ვითარების ესკალაციის გამო. მაია ფანჯიკიძემ უკრაინელ კოლეგასთან საუბრისას კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველო გმობს უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის ფაქტს და მხარს უჭერს საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევას, რომელიც უკრაინაში კრიზისის აღმოფხვრისკენ არის მიმართული. ამასთან, ფანჯიკიძემ კიდევ ერთხელ გამოხატა ქართველი ხალხისა და საქართველოს ხელისუფლების სოლიდარობა უკრაინის მთავრობისა და მოსახლეობის მიმართ.**

## „გამაოგნებელი საქართველო“

**ქუვეითის ინგლისურენოვანი გამოცემა Times Kuwait საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიას სათაურით „გამაოგნებელი საქართველო“ აქვეყნებს.**

**„არქიტექტურული ოცნება, საოცარი კერძები, ფესტივალები, გამორჩეული ენა, უნიკალური კულტურა და ყველაზე მეგობრული ხალხი. ყოველივე ეს საქართველოს საოცრად მიმზიდველს ხდის. დიდებული უძველესი ეკლესიები, საგუშაგო კოშკები, ციხესიმაგრეები, მთების ფანტასტიური პეიზაჟი: ეს საქართველოა, საოცარი მემკვიდრეობით, ხელოვნებითა და არქიტექტურით.**

**ამ ქვეყნის ყველაზე დიდი საგანძური ქართველები არიან. თბილი, ამაყი, სულგრძელი, კულტურული, სტუმართმოყვარე და მხიარული ხალხი.**

**საქართველოში არქიტექტურა ანტიკურიდან კოსმოსის ეპოქას მოიცავს. აქ იხილავთ არქიტექტურის რადიკალურ ნიმუშებს, რაც ახალგაზრდა, თანამედროვე საქართველოს სიმბოლოს წარმოადგენს. მთებით გარშემორტყმულ თბილისში ერთმანეთზე გადაჯაჭვულია საუკუნეების წინ აშენებული სასახლეები, ეკლესები, ციხე-სიმაგრეები და თანამედროვე არქიტექტურული დიზაინით შექმნილი შენობები.**

**ბათუმი აჭარის ქალაქია, სადაც ზაფხულის მხიარულად გატარებაა შესაძლებელი. თვალის შევლებითაც მტკიცდება, რომ საქართველოს აქვს ამბიცია, მოახდინოს „ვესტერნიზაცია“ და საბჭოთა წარსული მოიშოროს. ერთ-ერთ მოდერნისტულ ცათამბჯენზე ოქროსფერი ეშმაკის ბორბალია დამაგრებული. მთელ ქალაქს მეწამური, ლურჯი და წითელი ფერები გადაკრავს, როგორც საახალწლო ნაძვის ხეს“, — აღნიშნულია სტატიაში.**

**თბილისისა და ბათუმის შემდეგ Times Kuwait სტატიაში დავით გარეჯი, თუშეთის ეროვნული პარკი, ბეთანია, ბაკურიანი და საქართველოს სხვა ტურისტული მარშრუტებია აღწერილი. სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელიგიასა და კულტურას.**

**სტატიის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

ინტერპრესი



◉ კაკალ გულში

## რეცეპტი რომ გამოგიწერონ, რეცეპტი უნდა?

### წიკწიკოვანი თიხზები

● აი რა ხდება, როცა ქვეყანაში არის ორი მარინე, ორივე გიორგის ასული და ორივე ფერაძე — განაცხადა პან გი მუნმა.

● რომი ჰუნებმა დაანგრიეს, ხვარაზმი — მონღოლებმა, ბიზანტია — ოსმალებმა, რუსეთი — ბოლშევიკებმა, კაზანტიპი — ანაკლიელმა ინდმეწარმეებმა! ციკლიდან — დაცემული იმპერიები.

● ყველა საინფორმაციო სააგენტოში, ვინც ადამიანის სიკვდილით სარგებლობს და საკუთარი რეიტინგის მოსამატებლად მკვლელობის ვერსიებით ფანტაზიორობს — ლიმონკა უნდა შეაგდო. ვინც კიდე თავის უინტერესო უკანალის ოდნავ საინტერესოდ გადასაქცევად, პირს არ კეტავს ამ თემაზე და ჩირქით წუწაობს, ლიმონკა ენის ქვეშ უნდა ამოუდო ვალიდოლივით. რამე ადამიანური დაიტოვეთ, რას გავხართ, რას? უთქვენოდაც გაირკვევა მკვლელის ვინაობა როგორმე... გაგიხმეთ კონან დოილი თავები.

● წავედი აფთიაქში პამპერსების საყიდლად. რეცეპტად ჩაკუკებული შვილები მიმყავს.

● ვფიქრობდი, ვასილ პავლოვიჩი გვინდა-მეთქი, მაგრამ თურმე ლავრენტი პავლოვიჩი გვჭირდება.

● სასწრაფოდ კანონი უნდა მიიღონ და დაისაჯოს ჭორის გამავრცელებელი და ცილისმწამებელი ყველა ჟურნალისტი და საინფორმაციო სააგენტო.

● „ერთი შეხედვით, ეს ჩვეულებრივი მკვლელობის გახსნილი საქმე იქნებოდა, რომ არა მოკლული, რომელსაც მთელი ქალაქი იცნობდა...“

„...იმ ღამეს, როცა ეს შემზარავი ტრაგედია მოხდა, მოძღვართან ერთად იმყოფებოდა აჭარაში.“

ეს ორი ციტატა, ორი სხვადასხვა სტატიიდანაა და ერთ მკვლელობას ეხება, „ჩვეულებრივს“ ან „შემზარავს“ და ორივეში ის დრო ჩანს, რომელშიც ვცხოვრობთ.

ვინაა ჩვენი დროის ჭეშმარიტი შვილი? ვინ ამიხსნის, რას ნიშნავს „ჩვეულებრივი მკვლელობა“ ან „მოძღვართან ერთად აჭარაში ყოფნა“?!.

● ვინ შეკაზმავს ცხენს?

ვინა ხარ შენ დოქტორო ზორგე?

ვინ გააფუჭა ჰაერი?

ვინ წავა ნიუ-იორკში?

აი ის კითხვები, რომელიც საქართველოს მოსახლეობას აწუხებს!

● რეცეპტი რო გამოგიწერონ, მაგასაც რეცეპტი უნდა?

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძე

SIC!



# იმედგაცრუებაც, სასოწარკვეთაც!

## რატომ ალაპარაკებენ ამდენს სააკაშვილს ან რატომ უწევენ „სატოპკეს“?

**ასეთი ცხელი ზაფხული ბოლო 10 წელიწადია არ გვქონია, ამინდთან ერთად პოლიტიკურ მაღალ ტემპერატურას ვგულისხმობ, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის აგვისტოს. არანაირი შვებულება, დასვენება, გართობა; მთავრობა აქტიურად მუშაობს, მუშაობს... მაგრამ ხალხი რატომღაც ამას ვერ ხედავს. არ უნდა დაინახოს? რატომაც არა, უნდა; საზოგადოება ხომ ნაციონალებს არ ჰგავს?!. მაგრამ ვერ ხედავს იმიტომ, რომ მეტს ელოდებოდა და ამ ეიფორიის განელებას ვერ ეგუება. ესაა და ეს!**

„ენ-დი-აის“ რეიტინგებისა მჯეროდეს თუ არ უნდა მჯეროდეს, ეს ჩემი გადასაწყვეტია. მაგრამ გჭირდება თუ არა „ენ-დი-აის“ რეიტინგები? ჩემს შემთხვევაში, ნამდვილად არა! როცა ყოველი დღის მნიშვნელოვან დროს მუნიციპალურ ტრანსპორტში გაატარებ, ნებსით თუ უნებლიეთ, ათობით მგზავრის აზრს მოისმენ, თავისთავად ხვდები, რა განწყობა სუფევს საზოგადოებაში; ვის რა აწუხებს და ვის რა უნდა...

ამას წინათ ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ასე დაამთავრა საუბარი: **ყველა ჩვენი „წარმატება“ მაშინ იქნება წარმატებული, როცა ეს სიკეთე დაეტყობა ოჯახების მაცივრებსა და გაშლილ სუფრებსო. ბუნებრივია, გვინდა თუ არა, ყველა გზა მაინც კუჭზე გადის, რასაც დახვეწილ ენაზე კეთილდღეობა ქვია. ჯერჯერობით, კეთილდღეობა დიდი უმრავლესობის ოჯახს არ სწვევია. კანტიკუნტი ფაციფუცი კი, რომლითაც მთავრობას მოაქვს თავი, მხოლოდ მოჩვენებითობაა.**

კომუნისტები ამბობდნენ თავის დროზე, გასაკეთებელი კიდევ ბევრიაო. ეს ლოზუნგი მოეწონათ ნაციონალებს, თუმცა, მათ არ დასცალდათ ბევრის გაკეთება. ახალ ხელისუფლებას წინ მხოლოდ ორი წელიწადი აქვს, მაგრამ გაკეთებას არ ჩქარობს, ნელი ტემპი აქვს აღებული: გეგმაზომიერი, მართლზომიერი, დინჯი.

შესაძლოა, ამ სიდინჯის წყალობით აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილი სარფში, ასე ვთქვათ, ნეიტრალურ ტერიტორიაზე, სადაც შესანიშნავად პოზირებდა თანაგუნდელებთან ერთად, საბაჟოზე ლოდინისგან გათანგულ მგზავრებს შინაგანად პრეზიდენტული პომპეზურობით თუმცა, სხვათა დასანახად, დიდი უბრალოებით შეხვდა, გულში ჩაიხუტა და მათ სატკივარზე ისე ავიშვიშდა, თითქოს დღემუდამ ხალხის სვებედზე მოფიქრალი ხელისუფალი ყოფილიყო. დავით დარჩიაშვილი, ჩვენი პარლამენტარი, უმცირესობის წარმომადგენელი, ამის შემყურე რეალობას აბსოლუტურად მოსწყდა, კონტექსტიდან ამოვარდა და ჟურნალისტებს ასე განუმარტა: სარფში ბრძანდებოდა პრეზიდენტი სააკაშვილიო. მოკლედ, ნაციონალები დღემდე გულის სიღრმეში პრეზიდენტად ისევ მიშას მიიჩნევენ და მას მისტირიან. აი, ერთგულებაც ამას ჰქვია, ამის მიღმა საკუთარი ტყავის გადარჩენის ფარული სურვილი რომ არ იმალებოდეს.

**რატომ ალაპარაკებენ ამდენს სააკაშვილს, რატომ უწევენ „სატოპკეს“, საოცარია?! რა გახდა საბაჟოზე წესრიგის დამყარება, ან იმის განცხადება, რომ სეზონური ტურისტული სიმრავლეა, რაც შეფერხებას იწვევს. ნუთუ საბაჟო დეპარტამენტს არ ჰყავს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც „ფეისბუქის“ გვერდზე მაინც გაავრცელებდა ამ ინფორმაციას?! როცა ნაპრეზიდენტალი ახმაურდა, მაშინ დაიჭირეს თადარიგი და განმარტებები გააკეთეს. მაგრამ უკვე დაგვიანდა...**

სამწუხაროდ, არავინ აღმოჩნდა საზღვარზე ისეთი გამბედავი, რომელიც მიშას დატუქსავდა, ან ტკბილ-მწარედ უსაყვედურებდა ჩადენილი შეცდომებისა და დანაშაულების გამო... მართლაც, სამწუხაროა... მაგრამ ისიც სამწუხაროა, რომ ადამიანებს დღემდე შემორჩათ „მიშას, მიშას“ ნოსტალგია. არ შეიძლება ეს ფაქტი ისეთივე უინტერესოდ გაატარონ „ქართული ოცნების“ სოციოლოგებმა და „პიარშჩიკებმა“ (თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ არსებობს ასეთი სამსახურები), როგორც „ენ-დი-აის“ გამოკითხვების შემთხვევაში მოხდა. ასეთ წვრილმან დეტალებში ჩანს ყველაზე კარგად საზოგადოების ზოგადი განწყობილებანი. **მიხეილ სააკაშვილმა საკმაოდ კარგი „ტესტი“ ჩაატარა, გაბედა და საქართველოს საზღვრებს მოუახლოვდა, გაბედა და მთავრობა დატუქსა უნიათობის გამო, გაბედა და ხალხში თამამად გავიდა. ვინ იცის, კიდევ რას გაბედას და რა „ილეთს“ ჩაუტარებს ხელისუფლებას!!**

**რატომ აბედვინებენ ამდენს, საკვირველია?!**

**ახლა კი რაც შეეხება საზოგადოების განწყობას: ახლანდელი მდგომარეობა ჰგავს გარინდებას. როცა აურზაურის, ხმაურის შემდეგ ხალხი წამიერად ირინდება, მშვიდდება. ემოციები კი არ ცხრება, პირიქით, იმატებს, უბრალოდ, მღელვარება შიგნით რჩება, გარეთ არ გამოდის იმ იმედით, რომ რაღაც მოხდება. ან კარგი, ან ცუდი, მნიშვნელობა არა აქვს, რადგან რეაქცია მაინც არ დააყოვნებს და ის იმ ინფორმაციის შესაფერისი იქნება, რასაც მოისმენს.**

ჩემი აზრით, ამჯერად სწორედ ამ ეტაპზე ვიმყოფებით. რაღაცის მოლოდინში, ოღონდ, დარწმუნებით არავინ იცის, ეს რაღაც რა იქნება. ამდენად, გადაჭარბებულია ლაპარაკი ერის ინდეფერენტულობაზე, იმედგაცრუებაზე, მით უმეტეს, სასოწარკვეთაზე... ემოციები შინაგანად დუღს, ოღონდ, მხოლოდ შინაგანად. დღეს თუ არა ხვალ ის აუცილებლად გარეთ გამოვა. როგორი სახით, რამდენად ზომიერად და რისი ადეკვატური და თანაფარდი, ეს აბსოლუტურად ხელისუფლებაზე იქნება დამოკიდებული. არავის ხელეწიფება საზოგადოების მართვა ისე კარგად, როგორც მმართველ ძალას.

**სააკაშვილი არც ერთ შანსს არ უშვებს ხელიდან. ურიგო არ იქნებოდა, ხელისუფლებასაც გამოეყენებინა შანსი და საზოგადოება ინერტული მდგომარეობიდან საკუთარი ინერციით ქმედით რელსებზე გადაეყვანა!!!**

თეა მოსია

ეს თქვენ განსაკუთრებით გაინტერესებთ!

# პაციენტებს სანერვიულო არაფერი ექნებათ!

**1 სექტემბრიდან ამოქმედდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაწყვეტილება, რომელიც 4000-ზე მეტი დასახელების მედიკამენტის რეცეპტით გაყიდვას ითვალისწინებს. ახალი რეგულაციით, წამლები დაიყო სამ კატეგორიად: პირველი და მეორე ჯგუფის მედიკამენტები გაიცემა რეცეპტით, ხოლო მესამე ჯგუფის მედიკამენტების შეძენა მომხმარებლებს ურეცეპტოდ შეეძლებათ. როგორ შეხვდნენ სიახლეს მომხმარებლები და ასევე აფთიაქები და სამედიცინო დაწესებულებები?**

თბილისში, მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე „ავერსის“ აფთიაქში 1 სექტემბრის დილიდან სიხალვათე იყო. კანტიკუნტად გამოჩენილი მომხმარებელი ძირითადად ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტებს ითხოვდა.

## მკურნალობა რეცეპტით

დავუშვათ, გავხდი ცუდად, გული გამიხდა ცუდად... უნდა წავიდე ექიმთან, დავდგე რიგში, ჩავეწერო ოჯახის ექიმთან... ყველაფერი ეს ხდება ერთი კვირის განმავლობაში, ამასობაში ფეხებსაც გავფშეკ... ამბობენ ხანდაზმულები და საკმაოდ ახალგაზრდებიც!

70 წლის დალი შალვაშვილმა მესამე ჯგუფის, ანუ ურეცეპტოდ გასაცემი, მედიკამენტები შეიძინა, თუმცა, როგორც რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას აღნიშნა, საჭიროების შემთხვევაში, მას დისკომფორტს არც ექიმთან ვიზიტი შეუქმნის და არც რეცეპტის გამოწერა:

**„მომწონს ეს ახალი სისტემა და ვეთანხმები მინისტრის გადაწყვეტილებას, რადგან წელიწადში ერთხელ ისედაც უნდა მიხვიდე ექიმთან. ახლა შევიძინე ურეცეპტოდ ვალიდოლი და თვალის წვეთები“.**

1 სექტემბერს ამოქმედებულ სიახლეს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. 74 წლის ქალბატონ ლიას გული აწუხებს:

ჯანდაცვის სამინისტროში კი განმარტავენ, რომ მედიკამენტების ამა თუ იმ ჯგუფისთვის მიკუთვნება დინამიკური პროცესია და ხორციელდება გვერდითი მოვლენების შესწავლასთან ერთად, ამ მიდგომით კი, როგორც მინისტრი დავით სერგეენკო ამბობს, ბოლო სამი კვირის განმავლობაში 300-ზე მეტი მედიკამენტი გადავიდა მეორე ჯგუფიდან მესამე ჯგუფში, 160-მდე მედიკამენტი კი — მესამიდან მეორე ჯგუფში:

**„თავისუფალ გაყიდვაში არის 12 ფარმაკოლოგიური ჯგუფის წამალი, რომელთა სავაჭრო დასახელებები რამდენიმე ასეულზე მეტია და რომლებიც ასევე რჩებიან თავისუფალ გაყიდვაში. ეს არის, მაგალითად, სამივე ძირითადი ჯგუფი „წნევის დამწევები“ — ძლიერი, სწრაფი მოქმედებისა. გარდა ამისა, ძლიერი ალერგიული რეაქციის სამკურნალო წამლები. ეს არის გულის უკმარისობის, კორონალური დაავადების გამწვავების, ასთმის, ტკივილის მართვის საინექციო ტკივილგამაყუჩებლები — ეს მედიკამენტებიც რჩება თავისუფალ გაყიდვაში“.**

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, რეცეპტების ინსტიტუტის აღდგენას მომზადებული შეხვდნენ სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც საათობრივი მონიტორინგი ხორციელდება. როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის უფროსმა **მარინა დარახველიძემ** თქვა, რომ ბუნებრივია, რომ სიახლის ამოქმედებას ახლავს გარკვეული სახის ტექნიკური ხარვეზები:

**„ეს ის ხარვეზებია, რომლებიც რეცეპტების ბეჭდვას, ტექნიკურ წვდომას, ინტერნეტს და ა.შ. უკავშირდება. რაც შეეხება საათიაქო ქსელიდან მიღებულ ინფორმაციას, ის ძირითადად უკავშირდება რეცეპტის შევსებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ ხარვეზებს, ანუ სრულად არ არის შევსებული ყველა რეცეპტის ყველა გრაფა“.**

საკითხავია, თვითონ აფთიაქები რამდენად მზად არიან იმისათვის, რათა მაქსიმალურად სწრაფად „დაამუშაონ“ რეცეპტები. ვფიქრობ, რიგები გაჩნდება აფთიაქებში...

მედიცინის სფეროს სპეციალისტებსაც არ უკვირთ, რომ ახალი რეგულაციის ამოქმედებას გარკვეული სირთულე ახლავს. ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე ოთარ თოიძე ამბობს, რომ რეცეპტების სისტემაზე ნაუცბათევად გადასვლა პრობლემებს შეუქმნის როგორც სამედიცინო დაწესებულებებს, ასევე აფთიაქებს.

**„არიან თუ არა სამედიცინო დაწესებულებები მზად, მიიღონ ამ რაოდენობის პაციენტები, რადგანაც მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი საჭიროებს რეცეპტით გასაცემი მედიკამენტებით მკურნალობას. შესაბამისად, რეცეპტის ფორმა და მიმოქცევა, დაწყებული პაციენტის მომართვიდან აფთიაქში გამოყენებამდე, უნდა ყოფილიყო სრულყოფილად დახვეწილი, უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ყველა ნიუანსი, რაც გამორიცხავდა დროის კარგვას როგორც ექიმებისთვის, ასევე პაციენტებისთვისაც. ასევე საკითხავია, თვითონ აფთიაქები რამდენად მზად არიან იმისათვის, რათა მაქსიმალურად სწრაფად „დაამუშაონ“ რეცეპტები. ვფიქრობ, რიგები გაჩნდება აფთიაქებში“,** — უთხრა ოთარ თოიძემ რადიო თავისუფლებას.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ კიდევ ერთი სიახლე, რომელიც სასწრაფო დახმარების გამოძახების წესს შეეხება, 1 სექტემბრის ნაცვლად, ეტაპობრივად, წლის ბოლომდე ამოქმედდება. მინისტრ დავით სერგეენკოს თქმით, საჭიროა ინსტრუმენტი, რათა გაკონტროლდეს სასწრაფო დახმარების მომსახურების ხარისხი. პრიორიტეტები გამოძახების დროს გამოყენებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა იქნება უფრო მეტი გამოძახება, ვიდრე ბრიგადაა.

**დავით სერგეენკოს თქმით, პაციენტისთვის არსებითად არაფერი შეიცვლება.**

ჯიმშერ რეხვიაშვილი,
რადიო „თავისუფლება“

ალიანჩალიანი

# ზესტაფონი-სამტრედიის ავტომაგისტრალზე მუშები „აბობოქრდნენ“



**50-მდე ადამიანი დამსაქმებელი კომპანიის მხრიდან არასათანადო მოპყრობასა და ცუდ სამუშაო პირობებს აპროტესტებს.**

**როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, კომპანიის წარმომადგენლები მათ ცუდად ეპყრობიან. მათივე თქმით, რამდენიმე დღის წინ ადმინისტრაციამ სამი მუშა სრულიად უსაფუძვლოდ გაათავისუფლა.**

**„არანაირი პირობები არ გვაქვს, არც წყალი, არც სასადილო, არც საპირფარეშო, ცუდ პირობებში გვიწევს მუშაობა, როცა ვითხოვთ პრობლემის მოგვარებას, მენეჯერი გათავისუფლებით გვემუქრება“, — აცხადებენ აქციის მონაწილეები.**

**გაფიცული მუშები სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და კომპანიის მენეჯერის გათავისუფლებას ითხოვენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, აქციების გაგრძელებით იმუქრებიან.**

ინტერპრესი

# რუსეთი ჩერდება მხოლოდ იქ, სადაც გააჩერებენ

## უკრაინაში შექმნილი ვითარება საგანგაშოა არა მარტო უკრაინისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის



**რუსეთის აგრესიის გამო უკრაინაში შექმნილ ვითარებასა და მოვლენათა განვითარების სავარაუდო სცენარებზე „ინტერპრესნიუსი“ კიევში მცხოვრებ ქართველ პოეტსა და მთარგმნელს, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, პროფესორ რაულ ჩილაჩავას ესაუბრა.**

**—კარგა ხანია, უკრაინა მსოფლიო პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ბოლო დროს ქვეყნის აღმოსავლეთში რუსეთის შეიარაღებული ძალების აქტიურმა მოქმედებებმა მის მიმართ ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა. აშკარაა, რომ რუსეთი უკრაინის ანექსიის გზას ღიად დაადგა. სამხედრო მოქმედებები საინფორმაციო ომის ფონზე მიმდინარეობს. იმდენად წინააღმდეგობრივი ინფორმაციები ვრცელდება, რომ ტყუილ-მართლის გარკვევა აშკარად ჭირს. თქვენ კიევში ბრძანდებით და, ამდენად, საინტერესო იქნებოდა მიმდინარე მოვლენებზე თქვენი მოსაზრების მოსმენა. იქნებ, ჯერ უკანასკნელ დღეებში განვითარებული მოვლენების შეფასებით დავიწყოთ...**

— თქვენ საკმაოდ სრულად დაახასიათეთ აქ შექმნილი ვითარება, რომელიც საგანგაშოა არა მარტო უკრაინისთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც. მარტში დაწყებული რუსეთის აგრესია, შენიღბული ქიმერული ორგანიზაციების, ე.წ. ლუგანსკისა და დონეცკის სახალხო რესპუბლიკების სახელით, ამჟამად ღია შეტევაზე გადმოდის და დაუფარავად შემოჰყავს მედესანტეები, სატანკო ნაწილები, სპეცდანიშნულების რაზმები.

რუსეთის ჯარისკაცთა დედების კომიტეტის ცნობით, ამჟამად უკრაინის ტერიტორიაზე იბრძვის დაახლოებით 15 ათასი რუსი ჯარისკაცი. რამდენიმე დღის წინათ ტელევიზიით აჩვენეს დატყვევებული რუსი მედესანტეები, რომლებიც, პუტინის თქმით, თითქოს დაიბნენ სამხედრო სწავლებისას და შემთხვევით შემოეხეტნენ მეზობელ სახელმწიფოში. უკრაინის უშიშროების საბჭოს პრესსპიკერ ანდრეი ლისენკოს ცნობით, 29 აგვისტოს, რუსულმა ტანკებმა ლუგანსკის ოლქის კრასნოდონის რაიონის სოფელ ნოვოსვეტლოვკაში ზუსტად გაიმეორეს ჩეჩნური სცენარი — პირდაპირი დამიზნებით მათ პირისაგან მიწისა აღგავეს ეს დასახლებული პუნქტი. არ გადარჩენილა არც ერთი სახლი, არც ერთი მცხოვრები. საგულისხმოა, რომ დაღუპულები ეთნიკური რუსები იყვნენ, რაც აქარწყლებს კრემლის პროპაგანდისტულ ჭორს, თითქოს დონბასში თანამემამულეთა დასაცავად იბრძვის.

მას შემდეგ, რაც აგრესორმა ნიღაბი საერთოდ ჩამოიხსნა და სრულმასშტაბიან ოკუპაციას შეუდგა, სიტუაცია დონბასში უკიდურესად დაიძაბა. უკრაინელები ზედიზედ კარგავენ ადრე აღებულ ქალაქებს და დაკავებულ პოზიციებს. ალყაშია მოქცეული მოხალისეთა რამდენიმე ბატალიონი, რომლებსაც აკლიათ შეიარაღება, ტყვია-წამალი, სამედიცინო დახმარება, სურსათი. შტურმი ემუქრება ნახევარმილიონიან ქალაქ მარიუპოლს, რომელშიც დროებით გადმოტანილია დონეცკის საოლქო ადმინისტრაცია.

კიევს დღემდე არ შეუქმნია ანტიტერორისტული ოპერაციის სამეთაურო მკაცრი ვერტიკალი, ბევრ შეკითხვას, ხშირად კი გაოცებას იწვევს ცალკეულ გენერალთა უგერგილო ხელმძღვანელობა. საეჭვო ჩანს თავდაცვის მინისტრ ვალერი გელეტეის, საპრეზიდენტო დაცვის ყოფილი უფროსის სამხედრო კომპეტენცია. ის ხომ მილიციელია და საჯარისო ნაწილებთან ადრე არავითარი შეხება არ ჰქონია. თანაც ყველამ იცის, რომ უკრაინაში გამოცდილი გენერლებისა და მეთაურების ნაკლებობა ნამდვილად არ არის.

პეტრო პოროშენკოს დაპირება, რომ ზაფხულის ბოლომდე ანტიტერორისტულ ოპერაციას მორჩებოდა და დონბასში მშვიდობას დაამყარებდა, ვერ შესრულდა. როგორც ჩანს, ვერ შესრულდება წლის ბოლომდეც. გარდა ფრონტზე შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობისა, ცუდადაა საქმე ეკონომიკაშიც, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს სწორედ დონბასი ასრულებდა. ეროვნული ვალუტა ჩამოინგრა, ბენზინი უკვე ერთ ევროზე მეტი ღირს. კიევის მერმა ვიტალი კლიჩკომ გამოაცხადა — ზამთარში გათბობა არ გვექნება, ამიტომ ბოილერები და ღუმელები მოიმარაგეთო. სხვადასხვა მონაცემებით, ამჟამად ქვეყანაში 200-ათასამდე იძულებით გადაადგილებული პირია და თუ რას ნიშნავს ეს, ქართველი მკითხველისთვის ასახსნელი არ არის.

**— მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერები და ექსპერტთა უმრავლესობა პუტინს უკვე დაუფარავად ადარებენ ჰიტლერს. ექსპერტები ასევე პარალელებს ავლებენ საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის მოქმედებებსა და უკრაინის მოქმედებებს შორის მსგავსებაზე. თქვენი აზრით, რეალურად რა გეგმები აქვს რუსეთს უკრაინასთან მიმართებაში? ანუ რა არის კრემლისთვის უკრაინის საკითხში პროგრამა-მაქსიმუმი და პროგრამა-მინიმუმი?**

— ამ შედარების სისწორე განსაკუთრებით გახდა საცნაური პუტინის ცნობილ გამოსვლაში ყირიმის ანექსიასთან დაკავშირებით. სპეციალისტებმა ყურადღება მიაქციეს არა მარტო თვით ანშლუსის ფაქტს, არამედ გამოსვლის ტექსტსაც, რომელიც სავსეა ჰიტლერული ილუზიებით. პუტინის ლექსიკა, რიტორიკა, პათოსი და ტონალობა სულ ფიურერისეულია.

რაც შეეხება უკრაინაში პუტინის მოქმედებათა პარალელებს ქართულ მოვლენებთან, მსგავსება აქაც დიდია და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს. არ სჭირდება დიდი ანალიტიკოსობა იმას, რომ რუსეთის ინტერესებშია არა მარტო დონბასი და აღმოსავლეთი უკრაინა, არამედ უკრაინა მთლიანად, როგორც აღდგენილი იმპერიის განუყოფელი ნაწილი. ესაა პროგრამა-მაქსიმუმი. მინიმუმი კი ყირიმამდე სახმელეთო გზის ხელში ჩაგდებაა, რადგან ნახევარკუნძულთან საზღვაო კომუნიკაცია ვერ ხერხდება. საამისოდ საჭიროა ლუგანსკის, დონეცკის, ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, ოდესის, ნიკოლაევისა და ხერსონის ოლქების ხელში ჩაგდება. თანაც ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ ამ ტერიტორიებზეა თავმოყრილი ქვეყნის მთელი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები, მათ შორის, ცნობილი სარაკეტო ქარხანა „იუჟმაში“, საავიაციო ძრავების ქარხანა „მოტორსიჩი“, გემთსაშენებელი ქარხანა. უკრაინას ყველაზე დიდი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალიც სწორედ ამ ოლქებში აქვს.

**— თქვენი ვარაუდით, მოქმედების რა გზას არჩევს რუსეთი? შეეცდება, აიძულოს კიევი, დათანხმდეს ქვეყნის ფედერალიზაციას და მიიღოს კრემლის პირობები, თუ გააგრძელებს ბრძოლას უკრაინაში ხელისუფლების შესაცვლელად და მასზე მოსკოვის სრული კონტროლის დამყარებისთვის ბრძოლას?**

— რუსეთი ტრადიციისამებრ უკრაინას ქვეყნად, ხოლო უკრაინელებს ერად არ მიიჩნევს. მათი არსებობა, მოსკოველი იდეოლოგების აზრით, ისტორიული გაუგებრობაა და უნდა გამოსწორდეს. რაკი ამას მოსკოვი მშვიდობიანი გზით ვერ ახერხებს, იძულებულია, ომზე გადავიდეს.

პუტინმა მთელი თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკა აგრესიაზე ააგო, რითაც მიაღწია საკუთარი მოსახლეობის საოცარად მაღალ ნდობას და თუ ამ აგრესიამ კრახი განიცდა, მისი 84%-იანი რეიტინგიდან არაფერი დარჩება. ამიტომ უკან დასახევი გზა პუტინს არ აქვს. იგი ბოლომდე იბრძოლებს ნებისმიერი ხერხებით, რათა დააშოროს უკრაინა ევროპასა და ნატოს და თუ ერთი ხელის მოსმით მთლიანად ვერ მიიერთებს, დააქუცმაცოს მაინც. ფედერალიზაცია დაქუცმაცების ერთ-ერთი ფორმაა და პუტინი უთუოდ შეეცდება, ეს უკრაინას თავს მოახვიოს. თუ ეს გაუვიდა, ჩათვალეთ, რომ მან საწადელს ნაწილობრივ უკვე მიაღწია. ამის შემდეგ, ფედერალური მიწები თავად შეცვლიან ცენტრალურ ხელისუფლებას.

**— თუ გავითვალისწინებთ აშშ-ის პრეზიდენტ ობამასა და დასავლეთი ლიდერების განცხადებებს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ რუსეთსა და უკრაინას შორის ომში არც დასავლეთი და არც აშშ ღიად არ ჩაერთვებიან. ვინაიდან დასავლეთი რუსეთს ვერ აჩერებს, ხშირად გამოითქმის აზრი იმის თაობაზე, რომ რუსეთი უკრაინის დაწყებული ანექსიის პროცესში იქ გაჩერდება, სადაც ამის გაკეთებას უკრაინის არმია შეძლებს. თქვენ რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას? გასაგებია, რომ დონბასი ის ოლქია, სადაც წარმოებული ნაწარმი უკრაინის ექსპორტის 25%-ს შეადგენს, მაგრამ რამდენად დიდია ალბათობა, რომ ადრე თუ გვიან კიევი იძულებული გახდეს, შეეგუოს დონეცკისა და ლუგანსკის დაკარგვას?**

— ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ: რუსეთი ჩერდება იქ, სადაც გააჩერებენ. უკრაინა დონბასის დაკარგვაზე არ დათანხმდება, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის, ომის წაგების შემთხვევაში ზავის პირობებს გამარჯვებული აყალიბებს.

**— რამდენად სწორია ინფორმაცია, რომ დონეცკის ოლქში აქტიურად არიან ჩაბმული ბრძოლებში ე.წ. კადიროველები? და კიდევ, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს გავრცელებული ცნობა, რომ ევროპის ქვეყნებიდან, უკრაინის მხარეზე საბრძოლველად თავის დროზე ჩეჩნეთიდან ევროპაში გადახვეწილი ჩეჩენი „ბოევიკები“ მიიღებენ მონაწილეობას?**

— კადიროველთა მონაწილეობა დონბასის ომში დადასტურებული ფაქტია. ახლა კი გავრცელდა ცნობა, რომ აქ გამოჩნდა ჯოჰარ დუდაევის სახელობის საერთაშორისო სამშვიდობო ბატალიონი, რომელსაც იჩქერიის ბრიგადის გენერალი ისა მუნაევი მეთაურობს. კადიროველ გარეწრებს მისი თურმე ძალიან ეშინიათ და როგორც პრესა წერს, სასწრაფოდ გაქცევა აქვთ განზრახული. მუნაევი კი თავის მეომრებთან ერთად უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის იბრძოლებს.

**— უცნაური ინფორმაციები ვრცელდება უკრაინის ხელისუფლებაში არსებულ ვითარებაზე. პრეზიდენტმა პოროშენკომ რადა კი დაითხოვა და 26 ოქტომბრისთვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნა, მაგრამ ერთობ გაუგებარი და წინააღმდეგობრივი ინფორმაციები ვრცელდება მმართველ კოალიციაში მიმდინარე პროცესებზე. თქვენი აზრით, რა ხდება უკრაინის ახალ ხელისუფლებში?**

— მმართველი კოალიცია ამჟამად არ არსებობს. რადა სწორედ იმიტომ დაიშალა, რომ კოალიცია ვერ შედგა. როგორც ჩანს, პროცესები მართლაც რთულია, მაგრამ მათ არ ააშკარავებენ. პოროშენკოს პრეზიდენტობის 100 დღის გასვლას ელოდებიან. კრიტიკა რომ მწვავე და დაუნდობელი იქნება, აქედანვე იგრძნობა. თუმცა, საომარი სიტუაცია და მასთან დაკავშირებული ეროვნული კონსოლიდაციის გრძნობა ამ პროცესს ამუხრუჭებს.

**— და ბოლოს, როგორ დაახასიათებდით კიევში არსებულ ვითარებას? საზოგადოებაში არსებულ განწყობებს? ამბობენ, კიევში ძალიან ბევრი დევნილია აღმოსავლეთის რეგიონებიდან და კიევი 90-იანების თბილისს დაემსგავსა?**

— კიევში ჯერჯერობით მშვიდობაა. თუმცა, გუშინ საკმაოდ ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა თავდაცვის სამინისტროსა და პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან. მომიტინგეები მოითხოვდნენ მოხალისეთა ბატალიონებისთვის მძიმე ტექნიკისა და მაშველების სასწრაფოდ გაგზავნას. არ არის გამორიცხული, რომ სულ მალე კვლავ არაერთი სტიქიური მიტინგის მოწმენი გავხდეთ. წინ არის საპარლამენტო არჩევნები, მძიმე შემოდგომა და ზამთარი. რაც შეეხება დევნილებს, მათ დედაქალაქში პრაქტიკულად არ ღებულობენ და მხოლოდ ოლქებში ანაწილებენ.

**ესაუბრა**
**კობა ბენდელიანი**



### მწერალი ბორის აკუნინი „პუტინისტური რუსეთიდან“ მიდის



**მწერალი გრიგორი ჩხარტიშვილი, რომელიც უფრო ცნობილია თავისი ლიტერატურული ფსევდონიმით ბორის აკუნინი, აცხადებს, რომ ფხიზელი მთვრალთან ვერ იცხოვრებს და „პუტინისტური რუსეთიდან“ მიდის.**

**ამის შესახებ აკუნინი „ЭХО МОСКВЫ“-ზე გამოქვეყნებულ ბლოგში წერს.**

**„პუტინისეულ რუსეთთან მე არ მაქვს შეხების წერტილი, მასში ყველაფერი მეუცხოება. ჩემთვის ძნელია აქ ყოფნა საერთო აზროვნების დაბინდულობის პერიოდში. ემიგრირებას, რა თქმა უნდა, არ ვაპირებ, მაგრამ დროის უდიდეს ნაწილს, ალბათ, საზღვარგარეთ გავატარებ. ფხიზელი მთვრალთან ერთ სახლში თავს მყუდროდ ვერ გრძნობს. პერიოდულად მოვინახულებ, ვნახავ, არ გამოდის კი მუდმივი სიმთვრალის მდგომარეობიდან? ხოლო იმის ნაწილად, რასაც რუსეთი ჰქვია, მე დავრჩები. ასევე რუსეთიც, რომელიც ჩემი ნაწილია, არსად არ წავა“, — წერს აკუნინი.**

**მწერალი თავის ბლოგში ასევე აფასებს აღმოსავლეთ უკრაინაში შექმნილ ვითარებას.**

**„დავდივარ მოსკოვის ქუჩებში, ვუყურებ ხალხს, მესმის ნაწყვეტები მათი საუბრიდან: გაუცხოება მემართება. ისინი ვერ ხედავენ, არ უნდათ დაფიქრდნენ. ხალხი დამნაშავე არაა, მათ თავიანთი ცხოვრება აქვთ. მაგრამ ისტორიის ასეთ მომენტებში სიბრმავე და გულგრილობა ძვირად მოგვიბრუნდება. ჩემს ქვეყანას მძიმე გამოცდა ელის, უფრო მძიმეც კი, რომლის წინაშეც ახლა უკრაინა დგას. ასე ვაფასებ მე ბოლო პერიოდის მოვლენებს და ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ მინდა, ვცდებოდე“, — წერს ბორის აკუნინი.**



# კოსოვოს აღიარებამ საქართველოც დაშალა!

## საქართველო ურთულესი არჩევნის წინაშე: ევროკავშირი თუ ევრაზიული კავშირი

**ჩვენ ვიცით, თუ რამხელა ინტერესები და სავაჭრო საგანი აქვს რუსეთს საქართველოსთან. განა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მისაღწევად და ქართული ეკონომიკის აღმავლობის მიზნით რუსეთიდან ხელშემწყობი გარემოს შესაქმნელად, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ, არ ღირს რუსეთთან სტრატეგიული მტრის სტატუსში ყოფნიდან სტრატეგიული მოკავშირის სტატუსის მოპოვების პოლიტიკის წარმოება? ამის ხელშესახებ მაგალითებს განა არ იძლევიან თუნდაც ჩვენი მეზობელი სომხეთი, ყაზახეთი და ბელორუსია? ხოლო წლევანდელი მაიდნის გადატრიალებამდე იგივე უკრაინაც?**

მათ რომ ანტირუსული პროდასავლურ - პრონატოური პოლიტიკა გაეტარებინათ, მაშინ სომხეთი რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე მოახერხებდა ყარაბახის ომში გამარჯვებას? მიუხედავად იმისა, რომ სომხებს ამერიკაში მრავალმილიონიანი გავლენიანი დიასპორა ჰყავს, ხოლო ამერიკის ადმინისტრაციაში მისი ლობისტური ორგანიზაციები ყველაზე ქმედუნარიანად ითვლება, სომხებმა მათთვის ჩვეული პრაგმატიზმით, მაინც რუსეთთან სტრატეგიული მოკავშირეობა ამჯობინეს და თუ ამის პოლიტიკურ შედეგებს გავაანალიზებთ, ამაში არც შემცდარან.

ან ყაზახეთის რუსეთთან დაპირისპირების შემთხვევაში ყაზახეთში მცხოვრები რუსების გამოყენებით, რომლებიც მოსახლეობის თითქმის მეოთხედს შეადგენენ, პოლიტიკურ-ტერიტორიული პრობლემები რუსეთის ძალისხმევით ამ პოსტსაბჭოურ ქვეყანას არ შექმნებოდა? იგივე თურქმენეთი, რომელიც თავისი გაზის ექსპორტის უდიდეს ნაწილს ევროპაში რუსეთის მაგისტრალების საშუალებით ახორციელებს, რომ მოინდომოს სრულიად დამოუკიდებელი ენერგოპოლიტიკის გატარება, მაქსიმალური პროგნოზით, რუსეთისგან ხომ მიიღებდა საკმაოდ დიდ პრობლემებს?

ამიტომ სხვა გზა აღარ არის. დიპლომატიაში ან სომხური პრაგმატიზმი უნდა გამოვიყენოთ, ან აზიური მოხერხებულობა, თორემ, ფაქტია, რომ რეალობიდან ამოვარდნილები და სწორი ორიენტირების არმქონენი კედლებს ვასკდებით და თავპირს ვიმტვრევთ, რაც უშუალოდ საქართველოს ნაფლეთებად ქცეულ სხეულზე აისახება.

საქართველოში უნდა მოვიდეს ხელისუფლება, რომელიც სამართლიანად განსაზღვრავს, რომ ქართველი ხალხისა და მისი სახელმწიფოებრიობის უმთავრესი ინტერესი და ღირებულებაა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ჩვენი ტერიტორიებიდან გამოდევნილი ქართული მოსახლეობის დაბრუნება და მისი გამრავლებისათვის პირობების შექმნა, საქართველოს ეკონომიკის რეალური აღმავლობა, ამის პარალელურად ქართული საზოგადოების კეთილდღეობის ზრდა და მისი ეროვნული იდენტურობის დაცვა, ხოლო ამ ჭეშმარიტი ღირებულებების საპირწონედ ვითომ პროდასავლური დემოკრატიული ღირებულებების დაყენება, რომელთა თანამედროვე კონცეფციები უკვე ადამიანთა უზნეობისა და ერების გადაგვარება-გადაშენების კატეგორიაში გადადის, ზიანის მომტანად უნდა ვაღიაროთ და უარვყოთ!

ან რომელ პროდასავლურ დემოკრატიულ ღირებულებებზე შეიძლება ლაპარაკი, როცა აშკარად ტირანულ სააკაშვილის ნაციონალურ რეჟიმს თავიანთი გეოპოლიტიკური და მერკანტელური მოსაზრებებიდან გამომდინარე, თითქმის მთელი 10 წლის მანძილზე მტკიცედ უჭერდა მხარს ლიბერალისტური დასავლეთი და თავის წარმატებულ პროექტად მიაჩნდა. ამ შეხედულებებს ახლაც არ თმობს და რეჟიმის დამნაშავე წარმომადგენლების ხელშეუხებლობისკენ მოუწოდებს საქართველოს ამჟამინდელ მთავრობას.

**...იმედია, 2008 წლის გაყალბებული საპრეზიდენტო-საპარლამენტო არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციაში დასავლეთის წვლილი სადავო არ უნდა იყოს. ამიტომ, დროა, გავაცნობიეროთ, რომ ევროატლანტების საჯარო დეკლარაციები ჩვენისთანა ქვეყნებში დემოკრატიის ხელშეწყობის შესახებ მხოლოდ ხალხის მოსატყუებლად არის გამიზნული, ხოლო საქმე სულ სხვა რამეს გვიჩვენებს. ამიტომ დემოკრატიის დამკვიდრებაში გარეშე ძალის გადაჭარბებული იმედი ნუ გვექნება, ეს მხოლოდ ქართველი ხალხის ნებასა და ბრძოლისუნარიანობაზე არის დამოკიდებული.**

რაც შეეხება ფედერალიზაციისა და კონფედერაციის სისტემების გამოყენებას საქართველოს მთლიანობის აღდგენის საქმეში, თავისთავად, ფედერალიზაცია საქართველოსთვის უფრო მისაღები ფორმაა, რადგან აღნიშნულ სისტემაში ბევრად ძლიერი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მქონე ცენტრი არსებობს, რაც სახელმწიფოებრივ მთლიანობას მეტად იცავს, მაგრამ თუ საქმე მიდგება რუსეთის მხრიდან დაკარგული ნდობის აღდგენის ფაქტორიდან გამომდინარე არჩევანის წინაშე, რომ ან საქართველოს კონფედერაცია ან ტერიტორიული მთლიანობის პერსპექტივის საერთოდ დაკარგვა, თავისთავად, ასეთ შემთხვევაში კონფედერაციის ვარიანტზეც შეიძლება საუბარი მისი სახელმწიფოებრივი კონსტრუქციის მდგარადობის კონკრეტული მყარი გარანტიების შექმნის საფუძველზე.

აფხაზეთთან კონფედერაცია უნდა შეიქმნას მას შემდეგ, როცა ლტოლვილები მთლიანად დაუბრუნდებიან თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და ამისთვის შესაბამისი პირობების გარდა უნდა გამოიყოს რამდენიმე წლიანი ვადაც. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლტოლვილების დაბრუნების შემდგომ აფხაზეთში ქართული მოსახლეობა უნდა გახდეს მისი საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი, ასეთ ვითარებაში ამგვარი რეფერენდუმის შედეგებით კონფედერაციის დაშლის ვერანაირი საფრთხე ვერ შეიქმნება. ამასთან, კონფედერაციის მთლიან ტერიტორიაზე მოსახლეობის საცხოვრებლად გადაადგილება შეზღუდული არ უნდა იყოს და ამ კუთხით საქართველოს ხელისუფლებამ ყველანაირი ბერკეტებით უნდა შეუწყოს ხელი ძირძველ ქართულ რეგიონში — აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ჩასახლება-გამრავლებას.

(როცა ვწერ აფხაზეთზე, ვგულისხმობ ჩვენს შიდა ქართლსაც, ისტორიულ-პოლიტიკური რეალობით სამხრეთ ოსეთად ქცეულს და ვთვლი რომ ამჟამად ლიახვისა და ქსნის ხეობების ქართულად კვლავ ამეტყველება და ქართულ სივრცეში მათი მოქცევაა უმთავრესი ამოცანა და არა სახელწოდებისა თუ პოლიტიკური სტატუსის გამო მეორეხარისხოვანი კინკლაობისთვის აღნიშნული მთავარი ამოცანის განუხორციელებლობა).

**მოკლედ, ზემოთ მითითებული გარანტიები იმდენად მტკიცე უნდა იყოს, რომ საქართველოს კონფედერაციის დაშლა მხოლოდ მისი ფედერალურ სახელმწიფო წყობად გარდაქმნის შემთხვევაში იქნეს შესაძლებელი და არა საქართველოს რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლით, რომლის თეორიული საშიშროების გამო ამ საკითხებზე მსჯელობის მსურველებს ამჟამად ჯვარზე აკრავენ ქართველი ურაპატრიოტები.**

ოპონენტები იმასაც ამტკიცებენ, რომ თითქოს რუსეთთან დიპლომატიური მოლაპარაკებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფას პერსპექტივა არა აქვს, რადგან ეს უკვე სცადეს საქართველოს წინამორბედმა ლიდერებმა და ვერაფერს მიაღწიეს იმის გამო, რომ რუსეთის მხრიდან არაკონსტრუქციული პასუხი მიიღეს, ანუ ცივ კედელს წააწყდნენ, რომლის გადალახვა შეუძლებელიაო.

მათ საპასუხოდ კატეგორიულად მინდა ვთქვა, რომ ბოლო 25 წლის დამოუკიდებელი საქართველოს ჯერ არც ერთ ლიდერს რუსეთის ხელისუფლებასთან სტრატეგიული ურთიერთობების შესახებ არანაირი მაღალი დონის მოლაპარაკებები არ ჰქონია და რაც იყო, ისინი ეხებოდა მხოლოდ ლოკალური საკითხების მოგვარებას, რომლებიც ურთიერთუნდობლობისა და დაპირისპირების კალაპოტში ყოფნის გამო, ხან ერთი მხრიდან ირღვეოდა, ხან მეორე მხრიდან.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან ყველა ქართველი ხელისუფალი საქართველოს ნატოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წევრად მოიაზრებდა და თავისთავად, ამის გამო რუსეთთან სტრატეგიულ ურთიერთობებზე მოლაპარაკებას ვერ გამართავდა, ხოლო თუ ვინმეს სჯერა აგვისტოს ავანტიურის დამღუპველი შედეგების გამო სიცრუითა და თაღლითობით ცნობილი სააკაშვილის თავის მართლებისა, რომ თითქოს მან ტერიტორიული პრობლემის გადაწყვეტისთვის მანამდე რუსეთს უპირობო მოლაპარაკება შესთავაზა, მაშინ მის გულუბრყვილობას საზღვარი არ ჰქონია.

ამასთან, თუ კი ვინმეს იმის დამტკიცება სურს რომ რუსებს ქართველების მიმართ განსაკუთრებული ფობია სჭირთ და ამ ვერსიის დასასაბუთებლად ათასნაირ თეორიებს თხზავენ, დაუფარავად ვიტყვი, რომ ისინი არიან პოლიტიკური მიზნებით რუსეთ-საქართველოს მტრობის სამსახურში მყოფნი და მათ ერთადერთი მოტივი ამოძრავებთ, რომ როგორმე გაამართლონ თავიანთი ანტირუსული გაკოტრებული პოლიტიკა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მყოფ ერებში ქართველების მიმართ რუსებს ყველაზე ლოიალური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გააჩნიათ, ვაზუსტებ, ლაპარაკი მაქვს ეროვნულ-ადამიანურ ურთიერთობებზე და არა ქართული სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულებაზე. ამაში კი დიდი დამსახურება რუსეთის ისტორიაში თავიანთი გამორჩეულობით ცნობილ ჩვენს თანამემამულეებს მიუძღვით დაწყებული რუსეთის არმიის გენერლის პეტრე ბაგრატიონიდან დამთავრებული იოსებ ჯუღაშვილი-სტალინით, რომელიც ლიბერალისტური სექტის მხრიდან მრავალათეულწლოვანი აღვირახსნილი კრიტიკის მიუხედავად, უკანასკნელი გამოკითხვებით რუსი ერის უმრავლესობაში ყველაზე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ არის აღიარებული.

პოსტსაბჭოთა სივრცეში მყოფ ერებში ქართველების მიმართ რუსებს ყველაზე ლოიალური და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება გააჩნიათ, ვაზუსტებ, ლაპარაკი მაქვს ეროვნულ-ადამიანურ ურთიერთობებზე და არა ქართული სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულებაზე. ამაში კი დიდი დამსახურება რუსეთის ისტორიაში თავიანთი გამორჩეულობით ცნობილ ჩვენს თანამემამულეებს მიუძღვით დაწყებული რუსეთის არმიის გენერლის პეტრე ბაგრატიონიდან დამთავრებული იოსებ ჯუღაშვილი-სტალინით, რომელიც ლიბერალისტური სექტის მხრიდან მრავალათეულწლოვანი აღვირახსნილი კრიტიკის მიუხედავად, უკანასკნელი გამოკითხვებით რუსი ერის უმრავლესობაში ყველაზე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწედ არის აღიარებული.

რუსეთთან დიპლომატიური მიდგომის გამორჩეულ მაგალითს იძლევა ჩვენი პატრიარქი ილია II. მან რუსეთის საპატრიარქოსთან სწორი პოზიციის დაჭერით მოახერხა ის, რომ აფხაზეთი კვლავაც საქართველოს ეპარქიის შემადგენლობაშია, ხოლო ამა წლის დასაწყისში კრემლში რუსეთის პრეზიდენტმაც მიიწვია. ამ შეხვედრის შესახებ თავად პატრიარქმა ბრძანა: ჩემი ვიზიტის მიზანია, დაიწყოს იმ შეცდომების გამოსწორება, რომელიც მრავლად დავუშვით. ვფიქრობ, გვეყოფა სიმამაცე და სიბრძნე იმისათვის, რომ ეს შეცდომები გამოვასწოროთ. მე მქონდა შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან და შევთანხმდით იმაზე, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ძმებად დავრჩეთ. ის რაც მოხდა, არც რუსეთის ბრალია და არც საქართველოსი. ეს იყო ცალკეული პიროვნებების ბრალი.

საპასუხოდ არც რუსეთის პრეზიდენტმა დაიშურა თბილი სიტყვები ილია II-ის მიმართ: „განსაკუთრებული მადლიერება მინდა, გამოვხატო თქვენს მიმართ იმისათვის, რომ დღევანდელ რთულ პირობებში (რთულში ვგულისხმობ რუსეთსა და საქართველოს შორის არცთუ ადვილ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს), აკეთებთ ყველაფერ შესაძლებელს, რათა ხელი შეუწყოთ ჰუმანიტარულ, სასულიერო, კულტურულ კონტაქტებს ჩვენს ორ მოძმე ერს შორის, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მინდა, ვთქვა ეს სიტყვები. ძალიან დიდი მადლობა. ძალიან მიხარია თქვენი ხილვა მოსკოვში."

**შეიძლება ითქვას რომ პატრიარქმა შესანიშნავი ფონი შექმნა რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების უმაღლეს დონეზე შეხვედრისათვის, სადაც პრიორიტეტულად უნდა დადგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი. მაგრამ ამგვარ მოლაპარაკებაზე უნდა წავიდეს ისეთი მსოფლმხედველობის მქონე ხელისუფლება, რომლისთვისაც მთავარი ღირებულება და წითელი ხაზი საქართველოს ევროკავშირ-ნატოში გაერთიანების ორიენტაცია კი არ იქნება, არამედ დაკარგულ ტერიტორიებზე ლტოლვილების დაბრუნებისა და მასზე თანდათანობით საქართველოს იურისდიქციის აღდგენის რეალური სტრატეგია.**

გია თვალავაძე

დასასრული. დასაწყისი იხ. № 176

# მსოფლიო პოლიტიკა – აბსურდის თეატრი

**თანამედროვე პოლიტიკა რომ აბსურდის თეატრს ჰგავს, გასაკვირი არ არის. იმ პოლიტიკოსებიდან, ვინც ხელისუფლებაშია, უკეთესს არ უნდა ველოდეთ. პოლიტიკოსობაზე ბევრი აცხადებს პრეტენზიას, ზოგს უმართლებს და ქვეყნის სათავეში ექცევა, ხოლო მის მიერ წინასაარჩევნოდ გაცემული უხვი დაპირებები მივიწყებას ეძლევა.**

საშუალო და დაბალი დონის პოლიტიკოსთა ჯირითია საერთაშორისო არენაზე. მათი სიტყვა და საქმე მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან და არათუ სიტყვა და საქმე, არამედ სიტყვა და სიტყვაც – გუშინდელი ნათქვამი დღევანდელს არ ჰგავს. მათ ეს არ აწუხებთ, რადგანაც გარანტირებული საარჩევნო ვადა განაღდებული აქვთ...

დღევანდელ პოლიტიკოსთა უმთავრესი მიზანი, არა საქმის კეთება, არამედ სავარძლის შენარჩუნებისთვის ბრძოლაა. და იბრძვიან ობამები, ოლანდები, კემერონები, მერკელები, სხვები და სხვები საკუთარი სავარძლებისთვის. და ამ ბრძოლაში, თუ ოდნავ მაინც აკეთებენ საქვეყნო საქმეს, დიდი შეღავათია.

გახსოვთ, ალბათ, რა ზარ-ზეიმით შეხვდა ფერადკანიანი ობამას გაპრეზიდენტებას მსოფლიო. ბევრი თვლიდა, რომ მის წინასაარჩევნო დაპირების აღსრულებას მალე ელირსებოდა როგორც აშშ-ს, ისე მსოფლიო საზოგადოება. ისიც გემახსოვრებათ, ინაუგურაციაზე ობამას შთამბეჭდავმა სიტყვამ რა დადებითი ემოციები გამოიწვია ჩვენში. რა არ იყო ამ სიტყვაში – ომების დამთავრება და ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მოგვარება, ირანთან ურთიერთობების დაწყება-გაუმჯობესება, რუსეთთან პრაგმატული კავშირების ჩამოყალიბება, სხვა მრავალი.



შთამბეჭდავი იყო ნობელის პრემიის მიღებისას ობამას სიტყვა, უფრო სწორად, ფიცი, რომ აშშ არასდროს წამოიწყებს ახალ ომს, რომ ის (აშშ) სალი კლდესავით იდგებოდა მსოფლიო მშვიდობის სადარაჯოზე.

ექვსი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ დანაპირები არ ჩანს. და დარჩენილი 2 წლის განმავლობაში (საპრეზიდენტო ვადა), ალბათ, არც გამოჩნდება. არ ჩანს ომისა და მშვიდობის გლობალურ თემასთან შედარებით, ნაკლები საკითხის მოგვარება – გუანტანამოს დახურვა. ობამას პრეზიდენტობის პირველსავე საათებში ითქვა გუანტანამოს ციხის დახურვის თაობაზე, მაგრამ ის დღესაც არსებობს...

ამერიკა პირდაპირ არ ჩაბმულა ლიბიის ომში, მაგრამ კულისებიდან მართავდა პოლკოვნიკ კადაფის წინააღმდეგ გაჩაღებულ ნატოს ომს. შედეგი? კატასტროფული – დღევანდელი ლიბია მუსლიმი ექსტრემისტების საჯირითო არენადაა ქცეული.

რომ არა გენერალი ალ სისის შეუპოვრობა, ეგვიპტეშიც იგივე ვითარება იქნებოდა. სამხედრო გადატრიალებამ წერტილი დაუსვა „ძმები მუსლიმანების" ბატონობას, ეგვიპტის განადგურებას. „ძმები მუსლიმანების" მმართველობის დამხობამ დაამწუხრა ობამა და მისი ადმინისტრაცია, მაგრამ ეგვიპტე იხსნა პერმანენტული, „ცხელი წერტილის" გაჩენისგან.

ობამას ინიციატივით და მისი პარტნიორი სახელმწიფოების მეცადინეობით, სირია ხანგრძლივი ომის კერად გადაიქცა. ობამა და მისი ევროპელი კოლეგები დაუფარავად ებრძოდნენ ბაშარ ასადის ხელისუფლებას, ამარაგებდნენ სირიის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ექსტრემისტულ ისლამს, მათ შორის „ალ-ქაიდას".

სწორედ მსგავსი უკიდეგანო დახმარება ხომ არ გახდა საწინდარი ისეთი ტერორისტული ისლამური დაჯგუფების ჩამოყალიბებისა, რომელიც დღეს შიშის ზარს სცემს ახლო აღმოსავლეთს და რომელსაც საკმაოდ დიდი ტერიტორიები უკავია სირიასა და ერაყში. ისლამური სახალიფო სერიოზული ძალაა, გაცილებით მეტი, ვიდრე „ალ-ქაიდა". სახალიფოს მთელი ერაყის და არა მარტო ამ ქვეყნის, სხვა ქვეყნების დაპყრობა აქვს პროგრამაში.

რასა იქმს ობამას ადმინისტრაცია? ჯერჯერობით ექსტრემისტული ისლამის ძალების საჰაერო დაბომბვებს, თუმცაღა, ამ წერტილოვან დარტყმებს დიდი შედეგი არ მოაქვს.

ამერიკელთა მოქმედება ემსგავსება ერთსა და იმავე მდინარეში მეორედ შესვლას. ეს მდინარე ერაყია. ეს მდინარე ექსტრემისტული ისლამისთვის (ასადის წინააღმდეგ) სამხედრო-ფინანსური დახმარებაცაა. ექსტრემისტულ ისლამთან ფლირტი აშშ-მა ავღანეთში დაიწყო. სწორედაც რომ, ვაშინგტონის დახმარებით ჩამოყალიბდა საბჭოთა ჯართან მებრძოლი „თალიბანი" და ბინ ლადენის „ალ-ქაიდა". დღეს ეს ძალები შემქმნელის წინააღმდეგ იბრძვიან.

ავღანეთში დაშვებული შეცდომა, ობამამ შეცდომად არ მიიჩნია და სირიაში ასადის მოწინააღმდეგე ექსტრემისტებს გაუწია დახმარება. ეს ექსტრემიზმი დღეს დამხმარეს ებრძვის, ანუ აშშ-ს. ისიც, თავის მხრივ ბომბავს მას. სარწმუნო ცნობების მიხედვით, ამერიკის ადმინისტრაცია ცდილობს, გამოძებნოს ბაშარ ასადთან მისასვლელი გზები, რათა მან, თავის მხრივ, შეტევა მიიტანოს სირიისა და ლევანტის ექსტრემისტულ სახალიფოზე. რა ჰქვია ასეთ პოლიტიკას, თუ არა აბსურდის თეატრი?!

ობამას უშუალო მონაწილეობით მოხდა და ხდება ის, რასაც ადგილი აქვს უკრაინაში – ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობა, რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება და ამით მსოფლიო ეკონომიკის დასუსტება.

ობამა თვალს ხუჭავს უკრაინის არმიის სადამსჯელო ოპერაციაზე საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ. დონეცკისა და ლუგანსკის მიდამოები ნანგრევებადაა ქცეული. მილიონამდე ადამიანი რუსეთშია გახიზნული. უკრაინის პრემიერ-მინისტრის განცხადებით – აღმოსავლეთ უკრაინის აღსადგენად 8 მილიარდი დოლარიც არ იკმარებს. სიცოცხლეს ველარავინ დაუბრუნებს ომში დახოცილ 2000-ზე მეტ მშვიდობიან მოსახლეობას.

ამერიკელთა მიზანმიმართული მოქმედებით, უკრაინა ისე გადაეკიდა რუსეთს, რომ კარგა ხანს ამ ორ ქვეყანას შორის, ფაქტობრივად, ერთი სისხლისა და ხორცისა, ნორმალური დამოკიდებულება არ იქნება!

იტყვის ობამა – რუსეთია დამნაშავე უკრაინის მოვლენებში, და ყველა ერთად ალალადდება ევროპაშიც – დიახ, დამნაშავეაო. იტყვის ობამა – დამნაშავე რუსეთი უნდა დაისაჯოს, და ევროსივრცე უმალ პასუხობს ობამასთვის საამოდ მოსასმენი ანტირუსული განცხადებებით, მეტადრე სანქციებით.

სწორედ ასეთმა გაუთვლელმა მოქმედებამ ევროპის ეკონომიკა სავალალო დღეში ჩააგდო. ობამას დავალებით, ვაშინგტონელი ემისრები მთელს მსოფლიოს არიან მოდებული, ერთადერთი თხოვნით – შემოიღონ სანქციები რუსეთის წინააღმდეგ.

არადა, ობამას საინაუგურაციო სიტყვაში რომ რუსეთთან კარგ ურთიერთობებზე იყო მახვილი დასმული?!

ობამას გაპრეზიდენტება იმიტომ მოეწონათ ევროპის ხალხებს, რომ ამერიკა შეცვლიდა სხვაზე ზეწოლის პოლიტიკას და იმის ხაზგასმას, რომ დედამიწაზე მხოლოდ ის არის, რაც არის. სხვათა შორის, ეს კეთილშობილური მოსაზრება 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს გაისმა, მაგრამ... არ შესრულდა.

ვაშინგტონს აყოლილი საფრანგეთის პრეზიდენტი ოლანდი, მეორედ ცვლის მთავრობას სულ რაღაც 2 წლის განმავლობაში. პრეზიდენტის რეიტინგი 17%-მდეა დაცემული. განდევნილი ეკონომიკის მინისტრი, რომლის წყალობით მოხდა მთავრობის დაცემა, დაბეჯითებით აცხადებდა, რომ ვაშინგტონის წინაშე კუდის ქიცინი დამღუპველია საფრანგეთისთვის; რომ საფრანგეთი დაიმონა ბრიუსელმა (ევროკავშირი) და გერმანიამ; რომ საფრანგეთს არავითარი სუვერენიტეტი არ გააჩნია.

სხვათა შორის, ევროკავშირთან მიმართებაში იგივე წარმოდგენისაა ბრიტანეთის პრემიერი კემერონიც.

**ასეთ ფონზე საით მიდის საქართველო?**

საფრანგეთის ხელისუფლების კრიზისი შედეგია სუსტი პოლიტიკის და პოლიტიკაში მოსული საშუალოზე დაბალი პოლიტიკური განათლებისა და ალღოს მქონე ადამიანების.

ერთი ასეთი „პოლიტიკოსი" ჟოზე მანუელ ბაროზუ ერთ თვეში თავს დაგვიკრავს და ევროკავშირის შეფობას სხვას გადააბარებს. ბაროზუს სუსტმა პოლიტიკამ და ვაშინგტონის წინაშე კოჭის გორებამ გამოიწვია ის, რასაც უკრაინის კონფლიქტი ჰქვია. გასული წლის ვილნიუსის სამიტზე და მის შემდეგაც უკრაინის პრეზიდენტი იანუკოვიჩი სთხოვდა მას ევროკავშირ-რუსეთ-უკრაინის შეხვედრის გამართვას, ევროპასთან უკრაინის ასოცირებიდან გამომდინარე.

ბაროზუს პასუხი იყო ხისტი – რუსეთს არაფერი ესაქმება ევროკავშირთან.

არადა, დადებითი პასუხი, მითუმეტეს სამეულის შეხვედრის გამართვა, ხელს შეუშლიდა იანუკოვიჩის დამხობას და ფაშისტური ძალების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

ბაროზუ სულ იმის ძახილში იყო – ან ჩვენთან, ან საბაჟო კავშირთანო. მისი პოზიცია წყლის წვეთებივით ჰგავდა ობამას პოზიციას – აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები (იგულისხმება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები) ან მთელს მსოფლიოსთან უნდა იყვნენ, ან მარტო რუსეთთანო.

ევროატლანტიკური სივრცის „მტკიცე" პოლიტიკამ გამოიწვია ის, რაც ხდება უკრაინაში. გაჩნდა „ცხელი წერტილი". მის „გაციებას" დიდი დრო და, რაც მთავარია, პრაგმატული პოლიტიკა ესაჭიროება, სიმართლეზე და არა სიცრუესა და დემაგოგიაზე დაფუძნებული. აი, თუნდაც ასეთზე, რაც იყო რუსული ჰუმანიტარული ტვირთის ლუგანსკში ჩატანის დროს.

იხ. 8 გვ.

**ⓞ არდავიწყება**



# სიცოცხლის ტრფიალნი

**ლიტერატურის სიყვარულითა და, ამავე დროს, მცირე ფორმის მოთხრობების წერით გატაცებული მეათეკლასელი მედეა გეგეშიძე 1936 წელს მოულოდნელად განერიდა ამ წუთისოფელს.**

სიკვდილის წინ მხოლოდ ორიოდე სიტყვის თქმა მოასწრო: **„შენ მაინც იცოცხლე, ჩემო ერთადერთო ძმაო ბიძინა".**

საუბედუროდ, მედეას (ცუციკოს) გარდაცვალებამ ნაადრევად შეიწირა დიდი ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში განათლებამიღებული ჩემი მშობლები, ფილოლოგი ოლია კიკაჩეიშვილი და 1918 წელს გაზეთ „კომუნისტის" ერთ-ერთი დამაარსებელი, ისტორიკოსი ვალერიან გეგეშიძე.

ამ ტრაგედიებიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ ხელიდან გამომეცალა ერთგული თანამგზავრი – ექიმი-სტომატოლოგი, მედიცინის დამსახურებული მოღვაწე ეთერ მოსეს ასული რუხაძე.

და დავრჩი მარტო ვით ტირიფი ტოტებდახრილი. თუმცა, ბედს მაინც არ ვემდური. მიუხედავად ამ ძნელბედობის ჟამისა, სიცოცხლეს მიხანგრძლივებენ: შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და კეთილი ადამიანები. მათი ყურადღებით გარემოსილი, 87 წლის მოხუცი, მუხლმოდრეკილი ვევედრები უფალს, ნათელში მიმყოფოს გეგეშიძეებისა და რუხაძეების ოჯახებიდან იმქვეყნად წასულ ადამიანთა სულები.

**ბიძინა გეგეშიძე.**

**სურათზე:** მარჯვნიდან – მედეა და ბიძინა გეგეშიძეები. 1931 წელი.

**ⓞ ალიანჩალიანი**

## საჯარო მოხელეები, რომლებსაც სკოლამდელი ან სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავთ, მუშაობას 09:30 საათზე დაიწყებენ

**საჯარო მოხელეები, რომლებსაც სკოლამდელი ან სასკოლო ასაკის ბავშვები ჰყავთ, მუშაობას 09:00 საათის ნაცვლად 09:30 საათზე დაიწყებენ.**

**ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ნინო კობახიძემ განუცხადა. მისივე განმარტებით, მთავრობის ადმინისტრაციის მსგავსად, ყველა სახელმწიფო უწყებას აქვს შესაძლებლობა, შიდა რეგულაციის საფუძველზე, მსგავსი გამონაკლისი საკუთარ თანამშრომლებზეც დაუშვას.**

ინტერპრესი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# უკრაინის აჩრდილი ქართულ მმართველ ელიტას ცხოვრებას ურთულებს

**საქართველო უკრაინის მოვლენებისგან განზე არასდროს დარჩენილა. ჯერ კიდევ „ევრომაიდნის" პერიოდში თბილისში უკრაინის მხარდამჭერი აქციები იმართებოდა. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პოლიტიკური ელიტის შეცვლის მიუხედავად, კიევი და თბილისი თითქმის ყოველთვის ერთად იყვნენ.** ამასთან, „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოში ანტირუსული რიტორიკა შესუსტდა. სანამ უკრაინაში მოვლენები ვითარდებოდა, თბილისი ერთ მიმართულებას იცავდა: „გმობდა" რუსეთის მოქმედებას, მაგრამ „წითელ ხაზზე" არ გადადიოდა. ეს ტენდენცია ყირიმის ანექსიის შემდეგაც გრძელდებოდა. ასეთი „რბილი დაგმობები" სრულად კომპენსირდებოდა მიხეილ სააკაშვილის „მკაცრი განცხადებებით", რომელმაც უკრაინაში პირდაპირ ფრთები გამოისხა - ყველგან „დაფრინავდა" და ანტირუსულ რიტორიკას აფართოებდა, თან რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდის დროს 2008 წლის აგვისტოს მოვლენებსაც იხსენებდა, – ნათქვამია „კავკაზსკაია პოლიტიკაში" გამოქვეყნებულ **ნადანა ფრიდრიხსონის** სტატიაში უკრაინული გზაგასაყარი საქართველოსთვის: შუძლია თუ არა უკრაინის მოვლენებს მოსკოვ-თბილისის ურთიერთობის გამწვავება?

ავტორი მიიჩნევს, რომ ექს-პრეზიდენტის მოქმედებამ ოფიციალური თბილისი საკმაოდ დააფიქრა – შეიძლებოდა უკრაინული მაიდნის იმპორტი მომხდარიყო. მით უმეტეს, რომ მიხეილ სააკაშვილი ონლაინ-რეჟიმში მკვეთრად იმუქრებოდა და, იმპერატორ პავლე პირველის მსგავსად, ბიძინა ივანიშვილს მასმედიის მეშვეობით ბრძოლაში იწვევდა. აშკარაა, ეს იყო იმის ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ დაიწყო საქართველოს ხელისუფლებამ „სააკაშვილის პიროვნების კულტის" გამომჟღავნება.

**„მიხეილ სააკაშვილის ანტირუსული განცხადებები საქართველოს ხელისუფლებისთვის საკმაოდ კარგი თავშეკავებითი ფაქტორი გამოდგა. გარდა ამისა, ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის კარის გაღების შემდეგ თბილისი ბევრს ფიქრობდა და აწონილ-დაწონილად უდგებოდა, სანამ ჩრდილოელ მეზობელს რაიმე არასასიამოვნო ეპითეტით შეამკობდა. ყველა შემთხვევაში, ეკონომიკური ფაქტორი სერიოზული საბაბი აღმოჩნდა რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაში",** – აღნიშნავს ავტორი.



სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსული ბაზრით მიღებული მოგება უკრაინის მოვლენებმა და ევროპულმა ორიენტაციამ ეჭვქვეშ დააყენა. ქართული მმართველ ელიტის მოქმედებაში ნელ-ნელა შეიმჩნევა რუსეთის კრიტიკა... აბა, დავაკვირდეთ: მოსკოვმა და ბრიუსელმა ერთმანეთს არასახუმარო სანქციების ომი გამოუცხადეს. რუსეთის ბაზარზე დასავლური სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ვაკუუმი შეიქმნა, რითაც ისარგებლეს სომხეთმა, აზერბაიჯანმა და რაც უფრო ცუდია საქართველოსთვის, აფხაზეთმაც. გარდა ამისა, თბილისში ტრადიციულად უარყოფითად შეაფასეს ასევე ტრადიციული რუსული მხარდაჭერა აფხაზეთში გამართული პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირეით. რუმინეთში ყოფნის დრო კი საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ უკრაინას სოლიდარობა გამოუცხადა, დაგმო რუსეთის სამხედრო აგრესია და ყირიმის ანექსია.

**„და მაინც, საქართველო გაურკვეველ სიტუაციაში აღმოჩნდა: ერთი მხრივ, მას არ შეუძლია, სოლიდარობა არ გამოხატოს უკრაინელი ხალხისადმი და მეორე მხრივ, არსებობს უკრაინული „მაიდნის" იმპორტისა და რუსეთთან ურთიერთობის გაუარესების რისკი, რაც ქართულ ეკონომიკას მნიშვნელოვან ზიანს მიაყენებს.**

**ასეა თუ ისე, საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს მთელი რიგი პრინციპული საკითხების გადაწყვეტა: როგორ გააგრძელოს კავშირები რუსეთთან, როგორ მოაგვაროს თავისი პროდუქციის გასაღება, რეალურია თუ არა მიხეილ სააკაშვილის მუქარები და რას მისცემს ევროინტეგრაცია საქართველოს – უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე პროცესების ფონზე.**

**ამ ვითარებაში უკრაინის აჩრდილი ქართულ მმართველ ელიტას ცხოვრებას ურთულებს, მით უმეტეს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი „მეოცნებეთა" მიერ განხორციელებული პოლიტიკით უკმაყოფილოა.**

**შეიძლება ხელისუფლების ტაქტიკა მარტივი აღმოჩნდეს: ოფიციალურ დონეზე თბილისი მხარს დაუჭერს უკრაინელ ხალხს, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარებითაც, ხოლო ქვეყნის შიგნით ყველანაირი მინიშნება უკრაინულ თემატიკაზე მკაცრად იქნება აღკვეთილი, რუსული მეთოდების მსგავსად",** – ნათქვამია სტატიაში.

დედამიწის ზურგზე



**ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკაში განაცხადეს მხიარული მთის ხელში ჩაგდების შესახებ – ესაა უკრაინის არმიის უკანასკნელი პლაცდარმი ლუგანსკთან**

**უკრაინული წყაროები მხიარული მთის ამბების შესახებ ინფორმაციას არ ავრცელებენ. იტყობინებიან მხოლოდ, რომ უკრაინის ჯარების პოზიციას რაიონში გაუხსნეს ცეცხლი „რუსეთის ტერიტორიიდან". ამასთან ერთად, უკრაინელმა ძალოვანებმა, როგორც იქნა, აღიარეს კონტროლის დაკარგვა საურ-მოგილაზე, აგრეთვე დიდი დანაკარგები ილოვაისკთან.**

* * *

**ჰაკერების ძებნა, რომლებმაც ქსელში 101 ცნობილი ადამიანის ინტიმური ფოტო გაუშვეს, დაიწყო გამოძიების ფედერალურმა ბიურომ. ეჭვმიტანილი გაიქცა**

**ჰაკერულ შეტაკებაში მთავარი ეჭვმიტანილი, რომელიც ავრცელებდა ცნობილი მსახიობებისა და მომღერლების ინტიმურ ფოტოგრაფებს, გაიქცა, თან იგი დაჰპირდა თავის „მომხრეებს" ახალ პუბლიკაციებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიაჩნიათ, რომ მას ჰყავდა თანამიმდევრები.**

* * *

**ნაზარბაევი არ გამორიცხავს „ნეგატიურ გამოწვევებს" ყაზახეთისათვის უკრაინის მოვლენებისა და სანქციური ომის გამო**



**ყაზახეთის პრეზიდენტის სიტყვებით, დღევანდელ რთულ პირობებში „დიდი მნიშვნელობა აქვს, თვალყური ადევნო ყველაფერს, რომ თავიდან აიცილო შესაძლო ნეგატიური გამოწვევები ყაზახეთის ეკონომიკისთვის, ხალხის კეთილდღეობისთვის, უსაფრთხოებისთვის. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთავრობა უკვე მუშაობს ამ საკითხებზე.**

* * *

**ფიდელ კასტრომ ევროპელი ლიდერები ნაცისტებს შეადარა, ვენესუელაში კი მოსთხოვეს, რომ დასავლეთმა პატივი სცეს რუსეთს**

**სტატია ომის შესახებ კუბის რევოლუციის ლიდერმა ფიდელ კასტრომ გამოუშვა ტრადიციისამებრ, ასევე არ დაიშურა სიტყვები შეერთებული შტატების წინააღმდეგ. მის კვალდაკვალ ვენესუელის ხელმძღვანელმა მოუწოდა, შეწყვიტონ საბაბის ძიება საომარი შეტაკებისათვის, ბრალი დასდო დასავლეთს რუსეთის წინააღმდეგ აგრესიაში. ლათინურ ამერიკაში მოუწოდეს შეერთებულ შტატებს, არ დაიშუროს ძალისხმევა მშვიდობისათვის – „სასურსათო და სამრეწველო საქონლის წარმოების, საავადმყოფოებისა და სკოლების მშენებლობისთვის მილიარდობით ადამიანისათვის, რომლებსაც ეს ძალიან სჭირდებათ" – იბრძოლოს უფრო ინტენსიურად.**



ვინ როგორ ხედავს

# მსოფლიო პოლიტიკა - აბსურდის თეატრი

(მეშვიდე გვერდიდან)

ნატოს გენერალური მდივანი რასმუსენი (ისიც მალე დაგვიკრავს თავს) დაბეჯითებით აცხადებდა, რომ რუსული ე.წ. ჰუმანიტარული ტვირთის უკრაინის ტერიტორიაზე შეტანა, არის უკრაინის სუვერენიტეტის უხეში დარღვევა, საერთაშორისო ნორმების ფეხქვეშ გათელვა. რასმუსენმა დემაგოგიურად გამოთქვა ეჭვი, რომ ავტომანქანებით იარაღი და ცოცხალი ძალის ტრანსპორტირება მოხდა და ეს მაშინ, როდესაც სატვირთო კოლონა შეამოწმეს როგორც საერთაშორისო „წითელი ჯვრის" ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, ისე უკრაინელმა მებაჟეებმა.

ჰუმანიტარული ტვირთის უკრაინაში შეტანა შეთანხმებული იყო როგორც გაეროსთან, ისე აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ლიდერებთან, „წითელ ჯვართან", ეუთოსთან, თვით კიევის ხელისუფლებასთან და თუ არ ვცდები „მამაზეციერთანაც". და მიუხედავად ამისა, ასეთი ალიაქოთი.

რომ იტყვიან, რუსულმა ჰუმანიტარულმა ტვირთმა სულზე მიუსწრო ბლოკადაში მყოფ ლუგანსკის მოსახლეობას – უწყლოდ, უშუქოდ, უსაკვებოდ დარჩენილს.

და მაშინ, როდესაც ჰუმანიტარული ავტოკოლონის უკრაინაში შესვლა ლამის კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულად მონათლეს, ევროატლანტიკურ სივრცეში, არავინ ამბობს იმ საშინელებებზე, რასაც უკრაინის ჯარი სჩადის სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინაში. ის მეთოდურად მიწასთან ასწორებს საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო დაწესებულებებს, სკოლებს, მაღაზიებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ობიექტებს.



ომს ბოლო არ უჩანს, არც დასავლელი და უკრაინელი ე.წ. პოლიტიკოსების დემაგოგიას, სისასტიკეს, სიცრუეს. ასეთ ფონზე მინსკის შეხვედრა მძიმე გამოდგა. ამ შეხვედრას თუ რაიმე პრაგმატული მოჰყვა, მხოლოდ ნახევარი ნაბიჯია. ბაროზუმ არ ისურვა მინსკში ჩასვლა. მის ნაცვლად ეშტონი და სხვა ევროკომისრები იყვნენ, რომელთა ყოფნა-არყოფნის საკითხი, უფრო სწორად არყოფნის, უკვე გადაწყვეტილია.

ასეთ ვითარებაში და უკრაინის პრეზიდენტის ვაშინგტონისადმი უსიტყვო მორჩილების გამო, მინსკის შეხვედრა, დიდი ეფექტის მომტანი არ იქნება.

მინსკში გაიმართა სწორედ ის მოლაპარაკება, რასაც პრეზიდენტყოფილი იანუკოვიჩი ითხოვდა ევროკავშირის ხელისუფალთაგან, და რაზეც უარი სტკიცეს. თხოვნიდან ერთი წლის შემდეგ ეს შეხვედრა შედგა, ოღონდ უკვე დანგრეული უკრაინის, სანქციებით დაძაბუნებული ევროკავშირისა და რუსეთის ფონზე.

პოლიტიკოსი, რომელიც თავის ცხვირწინ არსებულ ვითარებას სათანადოდ ვერ შეაფასებს და შესაბამის დასკვნებს ვერ გამოიტანს – პოლიტიკოსი არ არის. ის უბრალო მედროვეა, პოლიტიკოსის სავარძლის დროებითი დამკავებელი. სამწუხაროდ, თანამედროვე პოლიტიკაში ბევრნი არიან ასეთნი.

მეორე მსოფლიო ომის დასასრულს, პოტსდამში გამართული „დიდი სამეულის" მოლაპარაკებაზე ამერიკის ახალმა პრეზიდენტმა ტრუმენმა აშკარად იგრძნო არა მარტო საბჭოთა კავშირის სრული უპირატესობა, არამედ საბჭოთა ლიდერის სტალინის, როგორც პიროვნების, სიძლიერე, ავტორიტეტი, შორსმჭრეტელობა, სიბრძნე.

ესოდენ დიდ ძალას, რომელიც, წინამორბედ რუზველტისგან განსხვავებით, ტრუმენში უსაზღვრო შიშს იწვევდა, ატომური ბომბები შეაგება იაპონიაში. ეს ბომბები საბჭოთა კავშირის შესაშინებლად ჩამოიყარა.

გასულ წელს სირიის საკითხში პუტინის პრაგმატულმა მოქმედებამ გაალიზიანა ამერიკის პრეზიდენტი ობამა. მან თავი დამცირებულად იგრძნო და შურის საძიებლად გზა გაუხსნა უკრაინის კრიზისს, რომელსაც მისი წინამორბედები 23 წლის განმავლობაში ამზადებდნენ. ამ ნაბიჯით მან ახალ „ცხელ" წერტილს, ხანგრძლივსა და ძნელად მოსათოკს ჩაუყარა საფუძველი. ხიროსიმა-ნაგასაკით „ცივი ომი" დაიწყო, უკრაინის კონფლიქტით – ახალი „ცივი ომი", რომლის ჩაქრობა ძალიან გაჭირდება.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

# პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ...



**გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, დედამიწის მოსახლეობის 17 პროცენტი ამჟამად სიღატაკეში ცხოვრობს.**

1,2 მილიარდი კაცი ყოველდღიურად მხოლოდ 1,25 დოლარად **(რაც თვეში დაახლოებით 64 ლარია — რედ.)** ცხოვრობს, მათგან არანაკლებ 842 მილიონისა კი (ანუ მთელი მოსახლეობის 12 პროცენტი) გამუდმებით შიმშილობს. რუსეთში სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს მოსახლეობის 15 პროცენტი (20-22 მილიონი კაცი). როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ საქართველოში, ამის ზუსტი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს.

# შაქრის მოხმარების ახალი ნორმა - 5 პროცენტი

**ბავშვთა კვების ბრიტანელ სპეციალისტთა აზრით, საჭმლის მისაყოლებლად მშობლებმა პატარებს ხილის წვენები კი არა, წყალი უნდა აძლიონ, რაც ბავშვთა სიმსუქნესთან ბრძოლის საუკეთესო ხერხია.**

დიეტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ხილის წვენები ეგრეთ წოდებულ „ფუჭ კალორიებს" შეიცავენ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მკვებავი ღირებულება არა აქვთ, თანაც პირველი რიგის ამოცანა სასმელებში ჭარბ შაქართან ბრძოლაა. სპეციალისტების აზრით, **დღე-ღამის განმავლობაში მოხმარებული კალორიებიდან შაქრის წილი 10 პროცენტს არ უნდა აჭარბებდეს.**

ამასთან, მეცნიერები, რომლებიც ჭარბ წონასთან ბრძოლის კამპანიაში არიან ჩაბმულნი, თვლიან, რომ სიმსუქნის პრობლემების გადაწყვეტა მარტივი საქმე არ არის, თუმცა კი, შაქრის მიმართ მათი დამოკიდებულება ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია.



**— ბავშვებს ლიმონათი კი არა, უბრალო წყალი ასვით,** — ამბობს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი სიზენ ჯემი. — ამას ისინი თავიდანვე უნდა მიაჩვიოთ, ამასთან, წყალი შეიძლება რძით ჩაანაცვლოთ.

ლონდონის უნივერსიტეტის დიაბეტისა და კვების კათედრის ხელმძღვანელი პროფესორი ტომ სანდერსი კი აცხადებს, რომ ადამიანები, უბრალოდ, წყლის სმას გადაეჩვივნენ, ოჯახებში დატკბილული სასმელების სმა ჩვევად იქცა, რაც წონის მატებას იწვევს.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს იმის მონაცემებიც, რომ შაქრის მოხმარება ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სხვა პრობლემებსაც იწვევს, კერძოდ, გულის სისლძარღვთა დაავადებებსა და შაქრიან დიაბეტს. ახლახან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კვებასთან დაკავშირებით ახალი რეკომენდაციების პროექტი გამოაქვეყნა, რომლის შესაბამისად, **შაქრის მოხმარება კალორიულობის 10 პროცენტს არ უნდა აჭარბებდეს, ხოლო 5-პროცენტიანი მაჩვენებელი მისი მოხმარების ის დონეა, რომლის მიღწევას არამარტო ცალკეული პირები, არამედ მთავრობებიც კი უნდა ცდილობდნენ.**

# შვილიშვილის... დედა



**ამერიკელმა პენსიონერმა კრისტიან კეისიმ, რომელიც ილინოისის შტატ ქალაქ ჩიკაგოში ცხოვრობს... საკუთარი შვილიშვილი გააჩინა!**

61 წლის ქალბატონმა ბავშვი თავისი ქალიშვილის სარა კონელისთვის გააჩინა, რომლის რამდენიმე ორსულობა მუცლის მოშლით დასრულდა. ამით იგი არა მარტო ყველაზე ასაკოვანი მშობიარე გახდა, არამედ იგი ერთადერთი ქალიცაა, რომელიც თავისი ქალიშვილის სუროგატული დედაა.

# მარიხუანის ლეგალიზება: პირველი შედეგები

**ამერიკის შეერთებული შტატების კოლორადოს შტატის საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტის მონაცემებით, 2013 წლის თებერვლიდან 2014 წლის აპრილამდე პერიოდში, დანაშაულის დონე ამ მხარეში საგრძნობლად შემცირდა.**

შტატის დედაქალაქ დენვერში მკვლელობათა რიცხვი 66,7, ხოლო მარიხუანის ქონასა და მოხმარებასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეთა დონე 77 პროცენტით შემცირდა.



ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ აღნიშნული ვადის სიმცირის გამო სერიოზული დასკვნების გამოტანა ნაჩქარევი იქნება, მაგრამ, იმასაც აღნიშნავენ, რომ თუმცა, 21 წელზე მეტი ასაკის პირთათვის ამ მსუბუქი ნარკოტიკის მოხმარება ლეგალიზებულია, ქალაქში კრიმინოგენური ვითარება არანაირად არ გამძაფრებულა.



# თოვლისა და ვეფხვების მბრძანებლები

**ნეპალისა და ტაილანდის ბუდისტური ტაძრების ბერებისთის თოვლზე ძილი და ვეფხვების მართვა, ფიქრის ძალით წონის შემცირება, საკუთარი გულისცემის გაჩერება და ბევრი სხვა მსგავსი საოცრება, ჩვეულებრივი ამბავია.**

## ცოცხალი „თბოელექტროსადგურები"

**ნეპალის დედაქალაქის კატმანდუს მახლობლად მდებარე ტაძარ კოპანთან მთების მწვერვალებთან ახლოს მდებარე გამოქვაბულებში ზამთრობით ტიბეტელი ბერები ადიან, რომლებიც ტუმოს პრაქტიკას ეწევიან. ტუმო შინაგანი ცეცხლის იოგაა.**

— იანვარში კატმანდუში ყინვები ხშირად მინუს ოც გრადუსს აღწევს, თანაც ძლიერი ქარები იცის. ბერები კი აქ მხოლოდ თეძოებზე შემოხვეული ნაჭრებით შემოსილები ადიან, — ამბობს ტაძრის მედიტაციის მასწავლებელი ლამა ლანგ სანგი. — ტუმოს არსი სხეულის ტემპერატურის მყისიერი აწევ-დაწევაა. მინახავს, რომ საშინელ ყინვაში ბერს ყინულად ქცეული პირსახოცი დაუდვია მხარზე, რომელიც ერთ საათში ისევ თბილი და მშრალი ყოფილა.

1981 წელს ტაძარ კოპანში ჰარვარდელ მეცნიერთა ჯგუფი იყო, რომელსაც პროფესორი ერბერტ ბენსონი ხელმძღვანელობდა. მათ აღნიშნეს, რომ **მედიტაციაში მყოფი ბერები მთელი ღამეების განმავლობაში ყინულის ლოდებზე ისხდნენ და არაფერი მოსდიოდათ, მაშინ, როცა რამდენიმე ექსპერიმენტატორს ხელ-ფეხი მოეყინათ!** მაგალითად, განდეგილი ბერი ჯოუ, რომელსაც „ჩინეთის მარგალიტს" უწოდებენ, **საგნებს ხელებით ათბობს — მას ხელის შეხებით წყლის ადუღება და ხელისგულზე... ერბოკვერცხის შეწვა შეუძლია(!)** ზოგიერთ მეცნიერს ეს სასწაული ჰგონია, სხვები კი ამას მოხერხებულ ფოკუსად აღიქვამენ.

— არადა, ყველაფერი ძალიან მარტივადაა: პირველი, რასაც მედიტაციის მეცადინეობებზე ასწავლიან — სხეულის შიგნით ენერგიის განაწილებაა, — ამბობს მონასტერ კოპანის წინამძღოლის მოადგილე ნგავანგ ტაში. — **ბერები სისხლის ნაკადს თავის ტვინისკენ მიმართავენ, სითბოს რეგენერაციას საჭირო უბნებში ახდენენ და სისხლის წნევის ფუნქციების „გადართვით" სისხლძარღვებს აფართოებენ.** ბერთა შესაძლებლობები, თვალის ერთი გადავლებით, უცნაური ჩანს, მაგრამ ეს მხოლოდ იმის გამო, რომ **საკუთარი ორგანიზმის შესაძლებლობათა 95 პროცენტს ადამიანი ვერ იყენებს. არადა, ეს ხომ მონასტრების გამოგონებაც კი არ არის: ტიბეტის მაღალმთიანეთის სოფლებში ადგილობრივი გლეხები სხეულში სითბოს შესანარჩუნებლად მედიტაციას მიმართავენ!**

ბუნებრივია, რომ ტუმოს ხელოვნებას ხალხი წლობით სწავლობს — ყინულზე ღამის სათევად მთაში ახალბედები კი არა, 20-წლიანი გამოცდილების მქონე ბერები გადიან. კოპანის ბერების თქმით, ოსტატ ჯოუსავით ხელებსა ან ფეხებში სითბოს არჩევით კონცენტრირების უნარი, ჩინეთში პოპულარული სუნთქვის ტანვარჯიშ ციგუნშიც ისწავლება. მედიტაციის დროს სითბოს შენარჩუნების უნარი ჰოლანდიელ ვიმ ჰოფსაც აქვს, რომელიც მთელ მსოფლიოში თავისი შოუთი დადის — საათობით ზის ყინულით სავსე ჭურჭელში.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, სითბოს შენარჩუნება კოპანის ბერთა ყველაზე დიდი საოცრება არ არის: **იქაური ღვთისმსახურნი... ფრენის შესაძლებლობებს ამუშავებენ!** ისინი ათასწლეულის მანძილზე უძველეს ტიბეტურ მედიტაცია **ლუნგლოს** ამუშავებენ — **ესაა ფსიქოფიზიკური ვარჯიშთა სისტემა, რომელიც სუნთქვისა და აზრთა კონცენტრირების ხერხების ცვლას მოიცავს. ლამა ლანგ სანგის თქმით, ადამიანს საკუთარი წონის შემცირება შეუძლია.**

## თოვლი... სამეფო დაკვეთით?!

ეს სრული ჭეშმარიტებაა არა მარტო ტიბეტელი, არამედ ზოგადად, ყველა ბუდისტი ბერებისთვის, მთავარია სიმშვიდის შენარჩუნება: ტაილანდში, ქალაქ კანჩანაბურის მახლობლად **ტყის მონასტერ ლუანგტა ბუა იანასამპანოში ბერებთან ერთად... 130 ველური ვეფხვი ცხოვრობს და ბოლო 20 წლის მანძილზე ადამიანზე ცხოველის თავდასხმის არც ერთი შემთხვევა არ მომხდარა!**

„თუკი გუნებაში ცხოველთან ადგილს გაცვლი, ყველაფერი საკმაოდ ადვილია, — ამბობს მონასტრის ერთ-ერთი თანამშრომელი, დოქტორი სომჩაი ვიზსმონგკოლჩაი. — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **ყოველი ვეფხვი ბერი უნდა გახდეს, ყოველი ბერი კი ვეფხვად იქცეს.** ცხოველებს ქათმის მოხარშულ ხორცს ვაჭმევთ, რათა საკვებში ცოცხალი სისხლი არ მოხვდეს, ამიტომაც ცხოველები აგრესიულები არ არიან. ჩვენ სამყაროს სწორ აღქმას ვქადაგებთ: ვეფხვები ჩვენი ძმები არიან, ისინი დედამიწაზე ისევე ბინადრობენ, როგორც ჩვენ.

ერთ-ერთი ევროპელი მკვლევარი ყვება, რომ იმის მოწმე გახდა, თუ როგორ წამოხტა და ბრდღვინვა დაიწყო ვეფხვმა, მაგრამ მის მახლობლად მდგომმა ბერმა გაშლილი ხელი ზეაღმართა და ცხოველი კატის კნუტივით აკრუტუნდა და ფეხებთან დაუწვა.

მთებსა და ტყეებში ჩაკარგულ მონასტერთა ბერების ცხოველთა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამინდის მართვის უნარს აზიის ევროპელი მკვლევარები ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის გარიჟრაჟზე აღნიშნავდნენ. ძველი ტიბეტური მეცნიერების **ბონის** თანახმად, **სამყაროში ყველაფერი რხევების კანონს ემორჩილება — ცოცხალი არსებებიც და უსულო საგნებიც გარკვეული სიხშირით ვიბრირებენ.** ამიტომაც საჭიროა ბერმა მთავარი ტალღის სიხშირე მოძებნოს და, ბუნების სამართავად, მასზე აეწყოს. საქმე მარტო ვეფხვებში როდია — **მე-9 საუკუნის ტიბეტში, მეფის თხოვნით, ტაძრების ბერებს წვიმა და თოვლი მოჰყავდათ.**

თუმცა ეს, შეიძლება, ლამაზი ლეგენდაც იყოს...

სტარტის წინ

# სანდრო კობახიძე: დადგა დრო, დადებითი შედეგი ვაჩვენოთ...




**საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ნახევარმცველის სანდრო კობახიძის თქმით, დროა, გუნდმა დადებითი შედეგი აჩვენოს.**

**სანდრო კობახიძე:** „ძალიან მნიშვნელოვანია „ევრო — 2016“-ის შესარჩევი ციკლის პირველ თამაშში როგორი შედეგი გვექნება. ირლანდია ძალიან ძლიერი გუნდია, თუმცა, მასთან თამაში და 3 ქულის აღება შეიძლება. ყოველ შესარჩევ ციკლს კარგი განწყობით ვხვდებოდით, მაგრამ შედეგი ნაკლებად გვქონდა. მოვიდა დრო, დადებითი შედეგი ვაჩვენოთ. ამისთვის კარგი სტარტი მნიშვნელოვანი იქნება.

**— უკრაინის პრემიერლიგის განვლილი ტური რატომ გამოტოვეთ?**

— მარჯვენა ფეხის კუნთმა შემაწუხა და თამაში ალარ გავრისკე.

**— განვლილ სეზონში „დნიპროს“ რიგებში საერთო ჯამში 48 წუთი ითამაშეთ. ლუცკის „ვოლინში“ მუდმივი სათამაშო პრაქტიკა გაქვთ და, შესაბამისად, უკეთეს ფორმაში უნდა იყოთ...**

— ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ. რამდენად კარგ ფორმაში ვარ, მოედანზე გამოჩნდება. რაც არ უნდა კარგად ვარჯიშობდე, სათამაშო პრაქტიკა მთავარია. „ვოლინში“ თითქმის ყველა მატჩში 90 წუთი ვითამაშე, ბოლო შეხვედრას თუ არ ჩავთვლით.

**— ახალ გუნდს როგორ შეეწყვეთ?**

— კარგად შევეწყვე. პროფესიონალი ფეხბურთელი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს. რა თქმა უნდა, იჯარით აქეთ-იქით სიარული მთლად კარგი არაა, მაგრამ უთამაშებლობას ნამდვილად სჯობს.

**— „ვოლინის“ მთავარი მწვრთნელი მოედანზე უშუალოდ რას გავალებთ?**

— „ვოლინში“ ერთი მატჩი თავდამსხმელადაც ვითამაშე, თუმცა, უფრო კომფორტულად თავს ნახევარდაცვის ფლანგებზე ვგრძნობ. კარგია, რომ მთავარი მწვრთნელი გუნდს შემტევი ფეხბურთის თამაშს თხოვს. ამასთანავე, ფეხბურთელებს ავალებს, რომ თავისი ინდივიდუალური თვისებები მაქსიმალურად წარმოაჩინონ.

**— ლუცკელებთან საიჯარო ხელშეკრულება მიმდინარე წლის დეკემბრამდე გაქვთ. მისი ამოწურვის შემდეგ რას აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, უკეთეს გუნდში თამაში სჯობს. თუმცა, არც ისაა პრობლემა, თუ „ვოლინში“ დავრჩები. მთავარია, ვითამაშო.

**კობა კობახიძე**

ჭიდაობა

# ვეტერანებმა იყოჩაღეს

**ორი „ოქრო“ და ამდენივე „ბრინჯაო“ — ასეთი მონაგრით დაბრუნდნენ ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატიდან ჩვენი „კლასიკოსები“.** კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ მიხეილ ზავრაშვილი (69) და ესტატე გოგლიჩიძე (130), ხოლო თამაზ გოგელიას (130) და ზურაბ წიქარიძეს (97) მესამე ადგილები ერგოთ.

გოგლიჩიძემ მედალი „თავისუფლებშიც“ დაიმსახურა — იქ „ვერცხლი“ ხვდა. მისი თანაგუნდელები — აკაკი კუნჭულია (69), თედორე ულუმბელაშვილი (97) და ავთანდილ თოდრია (130) მესამე ადგილებზე გავიდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

ფორუმის შემდეგ

# ქართველი ძიუდოისტები მსოფლიო ჩემპიონატიდან დაბრუნდნენ



**რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში დასრულებული მსოფლიო ჩემპიონატიდან საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები 1 ოქროს, 2 ბრინჯაოსა და ასევე გუნდურ შეჯიბრში მოპოვებული 1 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა.**

25-31 აგვისტოს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს მედლის მოპოვება 81 კგ. წონით კატეგორიაში ავთანდილ ჭრიკიშვილმა შეძლო, 2 ბრინჯოს მედალი აიღეს ამირან პაპინაშვილმა (60 კგ) და ვარლამ ლიპარტელიანმა (90 კგ), გუნდურ შეჯიბრში კი საქართველოს ნაკრებმა მე-3 საპრიზო ადგილი ბრაზილიის ნაკრების 3:2 დამარცხებით მოიპოვა.

აღსანიშნავია, რომ 2007 წლის შემდეგ საქართველოს სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მსოფლიო ჩემპიონი აღარ ჰყოლია და ავთანდილ ჭრიკიშვილის მიღწევა ამ მხრივაც გამორჩეულია. ჭრიკიშვილმა 2014 წელს ევროპის ჩემპიონის და ასევე რამდენიმე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულის ტიტულიც მოიპოვა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ყველაზე პრესტიჟული — მძიმე წონითი კატეგორიის ფინალური შეხვედრა ქართველმა მსაჯმა ვლადიმერ ნუცუბიძემ იმსაჯა.

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ნაკრების დელეგაციას მთავარ მწვრთნელ — ირაკლი უზნაძესთან და ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილთან ერთად თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ძიუდოს ფედერაციის წარმომადგენლებთან, გულშემატკივრებთან და ჟურნალისტებთან ერთად ოლიმპიური ჩემპიონი, პარლამენტის წევრი შოთა ხაბარელი და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე დახვდნენ და წარმატება მიულოცეს.

**ბეჟან დოლიძე**

რაგბი

# ლიდერთა ზავით „ყოჩებმა“ იხეირა



**საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურში ერთმანეთს ლიდერები — თბილისის „ლელო“ და რუსთავის „ხარები“ დაუპირისპირდნენ. ერთ-ერთ მომენტში არბიტრმა ორივე გუნდიდან რამდენიმე მორაგბე 10-10 წუთით გააძევა მოედნიდან, რამაც საბოლოოდ დადებითი შედეგი გამოიღო — პატარ-პატარა კინკლაობები, რომლებიც ასეთ პრინციპულ მატჩებს ხშირად ახლავს, დიდ მუშტი-კრივში არ გადაიზარდა.** თავიდან რუსთაველები დაწინაურდნენ 16:3, მაგრამ ლელოელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და მატჩი ფრედ — 22:22 დამთავრდა. ამ დაზავებით ისარგებლა „ყოჩებმა“, რომელმაც ქუთაისის „აია“ დაამარცხა — 30:14. „არმია“-„არმაზი“ 12:9, თიბიეს-„ბათუმი“ 9:23, „ლოკომოტივი“-„ჯიქი“ 16:3.

**ლაშა დიდია**

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ყოჩები“ | 3 | 3 | 0 | 0 | 63-30 | 12 |
| „ხარები“ | 3 | 2 | 1 | 0 | 92-47 | 11 |
| „ლელო“ | 3 | 2 | 1 | 0 | 66-41 | 10 |
| „არმია“ | 3 | 2 | 0 | 1 | 40-68 | 8 |
| „ლოკომ“. | 2 | 1 | 0 | 1 | 38-29 | 5 |
| „ჯიქი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 21-37 | 5 |
| „აია“ | 3 | 1 | 0 | 2 | 55-71 | 5 |
| „ბათუმი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 38-54 | 4 |
| თიბიეს | 3 | 0 | 0 | 3 | 51-73 | 2 |
| „არმაზი“ | 2 | 0 | 0 | 2 | 25-39 | 1 |

# „უმცროსი ბორჯღალოსნები“ — უფროსების ნაკვალევზე

**„აკადემიების გამოწვევა“ — ასე ერქვა ახალგაზრდა მორაგბეთა საერთაშორისო ტურნირს, რომელიც საფრანგეთში კლერმონთან ახლოს მდებარე დაბა ბესიში გაიმართა.** საქართველოს ნაკრები 19-წლამდელი მოთამაშეებით (გიორგი ბაბუნაშვილი, დავით გულიტაშვილი, გიორგი კოშკაძე, თემურ ირემაძე, ბადრი ლიპარტელიანი, რეზო ჯინჭველაშვილი, ვასილ ლობჟანიძე, ნიკა ნეფარიძე, ბადრი ალხაზიშვილი, გიორგი მელიქიძე, როლანდ კვაჭაძე, ოთარ გიორგაძე, ბესიკ ბარბაქაძე, ბადრი დანგაძე, ჟორა მღებრიშვილი, თორნიკე მატარაძე, თორნიკე მანაგაძე, ბექა კაკაბაძე, თორნიკე ზოიძე, დავით პავაძე, გივი ლოსაბერიძე, დავით ლობჟანიძე, თორნიკე ბუბუტეიშვილი, რატი შანიძე, ბექა ნონიაშვილი, ლაშა ბრეგვაძე, მთავარი მწვრთნელი ლუკა კილასონია) იყო დაკომპლექტებული. ჩვენი ბიჭები ტურნირზე ერთი წლით უფროს მეტოქეებს დაუპირისპირდნენ. პირველ მატჩში „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ ინგლისური „ლესტერ ტაიგერზი“ დაამარცხეს — 24:21. ფინალში კი „კლერმონის“ გუნდს სძლიეს — 16:15.



არადა, მატჩი მასპინძლების იერიშებით დაიწყო და მალე ისინი 7:0 დაწინაურდნენ. ჯინჭველაშვილმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირა. თუმცა, ტაიმის მიწურულს კლერმონელებმა ჯერ ჯარიმა, შემდეგ კი გარდაუსახავი ლელო გაგვიტანეს და საგრძნობი უპირატესობით გავიდნენ წინ 15:3. შესვენებამდე წუთი რჩებოდა, პაპავაძემ სტუმრების იერიში ლელოთი რომ დააგვირგვინა და ჯინჭველაშვილის გარდასახვაც ზუსტი გამოდგა — 10:15. მატჩის მეორე ნახევარში ამ უკანასკნელმა თითო ზუსტი ჯარიმა და არეკნიც მიითვალა, ქართველებმა 16:15 გაიმარჯვეს და მთავარი პრიზიც მოიპოვეს.

**გივი გაგუა**

ჩოგბურთი

# სერბულ-შოტლანდიური მეოთხედფინალი



**სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩსა და შოტლანდიელ ენდი მარეის ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობა შესაბამისად 2011 და 2012 წლებში მოუგიათ, ამჯერად კი ნიუ იორკში ერთმანეთს მეოთხედფინალში შეხვდებიან.**

მარეიმ მერვედფინალში აფროფრანგ ჟო-ვილფრიდ ცონგას 7:5, 7:5, 6:4 სძლია და ბოლო ერთი წლის განმავლობაში პირველად მოახერხა ტოპათეულის მოთამაშის დამარცხება. ამ მოგებით ენდიმ ცონგასთან ურთიერთშეხვედრების ანგარიში 10:2 გახადა.

ჯოკოვიჩს რაც შეეხება, ბალკანელმა გერმანელ ფილიპ კოლშრაიბერს 6:1, 7:5, 6:4 მოუგო და ნამატჩევს განაცხადა: „ცოტა ხნის წინათ მე და ფილიპი ერთობლივ წვრთნას ვატარებდით. იგი ნამდვილი პროფესიონალია, რომელთანაც თანამშრომლობა სასიამოვნო და სასარგებლოა. კოლშრაიბერს კარგი მოწოდება აქვს, მე კი ვცდილობდი მაქსიმალურად მობილიზებული ვყოფილიყავი და 3 სეტში „ჩავტეულიყავი“.

**მანუჩარ გიორგაძე**

კალათბურთი

# იტალიელი მსაჯი დასაჯეს




**ფიბა-მ მსოფლიო ჩემპიონატს ჩამოაშორა იტალიელი მსაჯი გერინო ჩერებუკა, რომელმაც სერბეთ-საფრანგეთის მატჩში საბედისწერო შეცდომა დაუშვა.**

შეგახსენებთ, რომ საფინალო სირენამდე ერთი წამით ადრე არბიტრმა სერბი მიროსლავ რადულიცა ფრანგ ჟოფრი ლოვერნზე ფოლისთვის დააჯარიმა, არადა, თამაშის შემდეგ თავად ამ უკანასკნელმა აღიარა, რომ თამაშის წესების დარღვევა არ ყოფილა.

ლოვერნის საჯარიმოს წყალობით ფრანგებმა მეტოქე 74:73 დაამარცხეს, იტალიელ არბიტრს კი ბარგის ჩალაგება და სამშობლოში ნაადრევად დაბრუნება მოუწევს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ტრანსფერი

# ოფიციალურად: ფალკაო „მანჩესტერში“ გადავიდა

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“ „მონაკოს“ თავდამსხმელი რადამელ ფალკაო ინათხოვრა. ტრანსფერი დაადასტურა ორივე კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა.**

„იუნაიტედმა“ კოლუმბიელი ერთწლიანი არენდით აიყვანა და მისი გამოსყიდვა სეზონის დასრულების შემდგომ 55 მილიონ ევროდ შეეძლება. არაოფიციალური ინფორმაციის თანახმად „მონაკო“ იჯარის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო ფალკაოს კვირაში 380.000 ევრო ექნება ხელფასი.




ფალკაო გასულ ზაფხულს გადავიდა „მონაკოში“ და 22 შეხვედრაში 13-ჯერ გამოიჩინა თავი.

**გიორგი შოთაძე**

ექო

# „კაზანტიპით“ დაზარალებულები

## ხმაურიანი ფესტივალის ხმაურიანი დასასრული

**„კაზანტიპის“ ხმაურიანი ფესტივალი ხმაურიანად დასრულდა. პროექტში მონაწილეობა იმაზე ბევრად ნაკლებმა ადამიანმა მიიღო, ვიდრე ორგანიზატორები ელოდნენ. თუმცა, ამბობენ, რომ ფინანსური დანაკარგების მიუხედავად, პირველი მცდელობისთვის პროექტმა მაინც გაამართლა. ადგილობრივებში კი, ვინც უშუალოდ ფესტივალის ვიზიტორებს მასპინძლობდა, აზრთა სხვადასხვაობაა — ერთი ნაწილი კმაყოფილია და მოგებას ითვლის, მეორე ნაწილი კი ვალებზე საუბრობს.**

ფინანსური პრობლემების ძირითადი მიზეზი ფესტივალის სტუმრების სიმცირე იყო — „რესპუბლიკის“ ხელმძღვანელობა ანაკლიაში ბევრად მეტ სტუმარს ელოდა. არსებული მონაცემებით, ფესტივალს დაახლოებით 12 ათასი ვიზიტორი ესტუმრა, მათი დიდი ნაწილი სიძვირის და სხვა, არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო, მალევე ტოვებდა ანაკლიას.

ბუნებრივია, რომ სტუმრების სიმცირემ უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ მოსახლეობაში. ამას ემატება ის პრობლემები, რომელიც მოსახლეობის ნაწილს ტურისტულ კომპანია „ჯორჯია ოქეისთან“ შეექმნა. ადგილობრივები ამბობენ, რომ აღნიშნულმა კომპანიამ მათ კუთვნილი თანხა არ გადაუხადა და ეს მაშინ, როცა ვიზიტორების მოლოდინში ბანკიდან სესხი აიღეს და შესაბამისი პირობების შექმნას მოახმარეს. აღებული კრედიტებით სახლი გაარემონტეს.

ცოტა ხნის წინათ „კაზანტიპით“ დაზარალებულებმა ანაკლიის ცენტრში საპროტესტო აქციაც გამართეს. მათი განცხადებით, ტურისტულმა კომპანია „ჯორჯია ოქეიმ“ ხელშეკრულების პირობები დაარღვია და მათ კუთვნილი თანხა არ აუნაზღაურა. ხელშეკრულების თანახმად, კომპანია წინასწარ შერჩეული სახლის მფლობელებს დამსვენებლებს მიუყვანდა, თანხას კი „კაზანტიპის“ დასრულების შემდეგ აუნაზღაურებდა.

**ელზა ჟანტურია, ანაკლიის მკვიდრი:** „20 სტუმრის ჩამოყვანას დამპირდნენ და მხოლოდ 12 ჩამოვიდა. სტუმრების ამ რაოდენობაზეც თანხის მხოლოდ ნაწილი გადამიხადეს. არადა, დიდი მოლოდინი გვქონდა. ახლა თხილის იმედი მაქვს, ბანკის ვალი მაინც რომ გავისტუმრო. ჩემს დღეში ბევრი ადამიანია“.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ფესტივალს ცუდი პიარი ჰქონდა, ამიტომ საზოგადოების აზრის გათვალისწინება მოუხდათ და დამსვენებლებს დიდი სიფრთხილით არჩევდნენ. ფესტივალის ერთ-ერთი ორგანიზატორი ამბობს, რომ ადგილობრივების უმრავლესობას ერჩივნა ბინა ქართველებისთვის მიექირავებინა, რათა ზედმეტი ხმაური და მითქმა-მოთქმა აერიდებინათ თავიდან.

„აქციებისა და წინააღმდეგობების ფონზე, ძალიან ბევრმა მითხრა უარი უკრაინელების და რუსების მიღებაზე. თითქმის ყველა მეუბნებოდა: ხვალ და ზეგ ისევ აქ, ამ ადგილას უნდა ვიცხოვრო და ვინმე ქართველი, ჩვენებური მომიყვანეო. ამიტომ, იმ ოჯახებში, სადაც თავიდან დაახლოებით 20 ადგილი დავითვალეთ, მაქსიმუმ 10 ვიზიტორი შევიყვანე. ზოგი პირდაპირ მეუბნებოდა, ოჯახი მყავს და არ მინდა ვიღაც არანორმალურები შემოვიყვანოო, ზოგმა — მეზობლების სალაპარაკო არ მინდა გავხდეო. ფესტივალს ძალიან ცოტა ქართველი დაესწრო და ყველასთან როგორ უნდა გადამენაწილებინა? არადა, თუ ერთი უკრაინელი ან რუსი სტუმარი დღე-ღამეში 70 ლარს იხდიდა, ქართველმა 30 გადაუხადა... თითქმის ყველა ადგილობრივს სტუმრების მასპინძლობის თანხა წინასწარ გადავუხადეთ. შემდეგ რაღაც გაუთვალისწინებელი შემთხვევები მოხდა: იყო შემთხვევა, რომ დამსვენებლები ადრე წავიდნენ, ისეთი შემთხვევაც იყო, რომ გოგონამ ხელი მოიტეხა „როლიკებზე“ სეირნობისას და მას თანხა დავუბრუნეთ“, — ჰყვებიან ფესტივალის ორგანიზატორები.




ტურისტულ კომპანია „ჯორჯია ოქეიში“ კი აცხადებენ, რომ ყველა ადგილობრივს წინასწარი შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა უკვე გადასცეს და, შესაბამისად, უკმაყოფილების მიზეზი არ არსებობს.

**ლალი პაპასკირი**

რუსული გაკვეთილები

# რატომ უნდა ვიცოდეთ „აგრესორის ენა“?

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ბირთვული ომით იმუქრება. მისთვის მიუღებელია ყველა ის საერთაშორისო ვალდებულება, შეთანხმება თუ კომპრომისი, რომელიც რუსეთის, როგორც სახელმწიფოს ინტერესს პირდაპირ ან ირიბად საფრთხეს შეუქმნის. ის უხეშად არ ემორჩილება არც პარტნიორებს, არც კოლეგებს, მით უფრო „მტრებს“... ცივილიზებული სამყაროს ყურადღება ახალი პუტინის ქმედებებისკენ არის მიმართული, რას იზამს ის, წავა თუ არა ავანტიურაზე?**




სიხისტემ, რომელიც რუსეთიდან ყოველდღიურად იზრდება, ადამიანები პუტინის ქვეყნისა და ხალხის მიმართ არაერთგვაროვნად განაწყო. ამ ფონზე, საქართველოში ბევრი აღმოჩნდა ისეთი, რომელსაც სურს, შეისწავლოს რუსული ენა და ლიტერატურა, რუსეთის ისტორია და კულტურა. მსურველებისთვის კურსები უფასოა და 15 წლის ასაკიდან იწყება. პროექტს ერეკლე მეორის საზოგადოება მეხუთე წელიწადია ახორციელებს და მოსწავლეებიც ბლომად ჰყავს. წლეულსაც 1 სექტემბრიდან 120 ახალგაზრდა 8-თვიანი კურსების მეშვეობით შეისწავლის რუსულ ენას. ფინანსურ მხარდაჭერას ფონდი „რუსკი მირი“ ახორციელებს.

პროექტის ხელმძღვანელ **არჩილ ჭყოიძის** თქმით, რეზერვში კიდევ ბევრი მსურველია, რომლებიც გაისად ჩაერთვებიან პროგრამაში: **„კურსები გავხსენით 2009 წელს, ანუ იმ დროს, როცა იკრძალებოდა ყველაფერი რუსული ჩვენს ქვეყანაში. იხურებოდა რუსულენოვანი ბაღები, სკოლები, მაუწყებლობა. დიდი წნეხის მიუხედავად, რუსული ენის შესწავლის მსურველები მრავლად არიან და ეს ბედნიერებაა“,** — ამბობს ის.

რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი ხარო, ნათქვამია, მაგრამ რატომ მაინცდამაინც რუსული, რომელსაც ჩვენში „აგრესორის ენას“ უწოდებენ? ამ კითხვაზე საინტერესო პასუხი აქვს ტელეკომპანია „მირის“ დირექტორს **ბადრი ნაჭყებიას: „უცხო ენას თუ სწავლობ, არ უნდა იფიქრო იმაზე, რომ მას ვიღაცისთვის სწავლობ, უპირველესად, მას შენთვის სწავლობ, ეს მთავარია. რაც შეეხება რუსულს, ჩვენ ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, სადაც ამ ენის ცოდნა სავალდებულოა. ეს არის რეგიონალური ენა, რომლითაც უნდა გვქონდეს ურთიერთობა ჩვენს ძმებთან — აფხაზებთან და ოსებთან. ჩვენი „ენჯეოს“ წარმომადგენლები გრანტებს იღებენ, წერენ პროექტებს იმისთვის, რომ საერთო ინტერესები გამონახონ მათთან. ჩადიან სხვა ქვეყნებში, ხვდებიან აფხაზებს, ოსებს, მაგრამ ელემენტარულად საერთო ენას ვერ პოულობენ იმიტომ, რომ რუსული არ იციან...**

**გადავხედოთ ჩვენს ტურისტულ ინფრასტრუქტურას — ჩამოდიან ძირითადად აზერბაიჯანელები, სომხები, უკრაინელები, რუსები, მაგრამ მომსახურე პერსონალების ძალიან ცოტა ნაწილმა იცის რუსული. ევროპაში თითქმის ყველა ქვეყანაში სასტუმროს მენეჯერებმა, მომსახურე პერსონალმა იციან რუსული ენა.**

**გამოსწორდება ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, მოვა დრო და რუსული ენის ცოდნა აუცილებლად დაგვჭირდება“,** — დასძენს ბადრი ნაჭყებია.

**ნია ფიფია**

შრომის კოდექსი

# ნაცებს ხალხის ინტერესები სულაც არ ადარდებდა

**შრომის საკითხებში სპეციალისტი ჯემალ ნიკოლაიშვილი წინა ხელისუფლების შრომის კოდექსისადმი ზერელე დამოკიდებულებებს მისი ელიტის პირადი დაინტერესებით ხსნის. კერძოდ, იგი ამბობს, რომ „ნაცების“ ზეობის პირობებში ბიზნესმენობა, მეწარმეობა და ა. შ.** თითქმის წარმოუდგენელი იქნებოდა, თუ პიროვნება „ვარდოსნების“ წრიდან მათთან დაახლოებული არ იყო. ამგვარი კასტური დამოკიდებულების ნაყოფია ის მონური კოდექსი, რომელიც ქვეყანაში დამსაქმებელს ყველაფრის უფლებებს ანიჭებდა, დაქირავებული კი სავსებით უუფლებო იყო. ასეთ ვითარებაში იყო დასაქმებულთა შრომითი პირობები. სახალხო დამცველის ოფისის მონაცემებით, სამუშაოს შესრულების პირობებში გარდაიცვალა 42 ადამიანი, ხოლო დაშავდა 132, შემდეგ წელს ამგვარი მაჩვენებლები იყო — 54 გარდაცვლილი და 102 დაშავებული. 2013 წელს კი დაიღუპა 33 და დაშავდა 161 კაცი.

„შრომის კოდექსში“ გაწერილი მუხლები არ მუშაობს. ამას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანიც ადასტურებს. ჯანდაცვის სამინისტროს შრომის მოწყობისა და დასაქმების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **პაატა ჟორჟოლიანი ამბობს, რომ ნაციონალურმა ხელისუფლებამ შრომითი დასაქმების დეპარტამენტი 2006 წელს შეგნებულად გააუქმა. სამინისტროში აცხადებენ, რომ პროექტი კეთდება და ის 2015 წლისთვის იქნება მზად, რომელიც ითვალისწინებს საწარმოების შრომით ხელშეკრულებას, მეტ კონტროლს შრომითი უსაფრთხოების თვალსაზრისით.**

ჟორჟოლიანის გადმოცემით, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა შრომის საერთაშორისო 182 ორგანიზაციას შორის, რომელსაც შრომის ინსპექციის ან მსგავსი ფუნქციების მატარებელი სამსახური არ გააჩნია.

სპეციალისტთა განცხადებით, ამ კუთხით სერიოზული ხარვეზებია ახლახან მიღებულ შრომით კოდექსშიც. **კერძოდ, კანონში მითითებულია, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულისათვის შექმნას უსაფრთხო სამუშაო გარემო. თუმცა, არ არის მითითებული, თუ რა დამსჯელი ზომები მიიღება კანონმდებლობის დამრღვევთა მიმართ. არ არსებობს მონიტორინგის არანაირი ქმედითი მექანიზმი კონტროლისა,** — თვლის საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირის თავმჯდომარე **ირაკლი პეტრიაშვილი.** იგი ამბობს, რომ მონიტორინგი, დაფინანსებული სახელმწიფოს მხრიდან, არის წყალში გადაყრილი შრომა და თანხები. ვის ატყუებენ? საზოგადოებისთვის საერთაშორისო შრომითი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციებისთვის ცდილობენ თვალში ნაცრის შეყრას, — გაოცებული კითხულობს ირაკლი პეტრიაშვილი, იქვე ელოდება პასუხს ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან, რომელიც, სამწუხაროდ, იგვიანებს.

**ზაზა ბილიხოძე**

**და ძაძუ კოსტავა, სიძე ვახტანგ, დისწული საშკა გოგოხიები, რძალი თამარ ჯაკობია, ბიძაშვილი ვოვა კოსტავა ოჯახით იუწყებიან ქალბატონ**

**ლეილა კოსტავას**

**გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 IX, დაკრძალვა 4 IX, 15 სთ. თბილისი, იოსებიძის 72 ბ. (ეზოდან მარჯვნივ ბოლო სადარბაზო).**

## ფოთში დევნილთა კორპუსების მშენებლობაზე ხელფასები არ გაუციათ...

**ფოთში დევნილთა კორპუსების მშენებლობაზე დასაქმებულები კუთვნილ ხელფასს ითხოვენ. გუშინ მათ საპროტესტო აქცია გამართეს. მათი განცხადებით, კორპუსების მშენებლობა უკვე დასრულდა, მათ კი 3 თვის ანაზღაურება ჯერაც არ მიუღიათ.**

სამშენებლო სამუშაოებს ფოთში ფირმა „ზიმო“ ახორციელებდა. აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ, თუ მათი მოთხოვნა უახლოეს დღეებში არ დაკმაყოფილდება, საპროტესტო აქციებს გააგრძელებენ.

**ინტერპრესი**

კრიმინალი

## შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

**შსს-მ დიდი ოდენობით ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდებით ბათუმში ერთი პირი დააკავა. შსს-ს ინფორმაციით, სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1977 წელს დაბადებული, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე კონსტანტინ ი. დააკავეს.**

**სამართალდამცველებმა დაკავებულის დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას 6 პაკეტად დაფასოებული 13,248 გრ მეტამფეტამინი და 3 შეკვრად დაფასოებული 2,443 გრ მეთილენ-დიოქსი-მეტამფეტამინი ამოიღეს.**

**დაკავებისას კონსტანტინ ი. ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.**

**გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).**

## დიაცმა თუ გაიწია...

# მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქველმოქმედი ქალბატონი

**ბევრი მიიჩნევს, რომ კრისტი უოლტონი ვერასდროს მოხვდებოდა მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების ათეულში და ვერც პლანეტის ყველაზე მდიდარი ქალბატონი გახდებოდა, რომ არა მეუღლისგან მემკვიდრეობით დატოვებული ქონება.**

მეუღლის, ამერიკელი ბიზნესმენის ჯონ უოლტონის ავიაკატასტროფაში დაღუპვის შემდეგ, 2005 წელს კრისტი უოლტონს მემკვიდრეობით 15,7 მილიარდი დოლარი და ცნობილი კომპანია Wal Mart-ი ერგო.

მემკვიდრეობის მიღებიდან ერთ წელიწადში კრისტი უოლტონი ამერიკის ყველაზე მდიდარი ქალბატონების რეიტინგის ათეულში მოხვდა, მემკვიდრეობით მიღებული ქონება კი 16 მილიარდ დოლარამდე გაზარდა. „ფორბსის“ ბოლო რეიტინგით, კრისტი უოლტონი 36,7 მილიარდი დოლარის ქონებით პლანეტის ყველაზე მდიდარი ქალბატონია, მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში კი ერთადერთი ქალია, ვინც რეიტინგის ათეულში მოხვდა.




მისმა შეუპოვრობამ და Wal Mart-ის საქმიანობისთვის თავის ღირსეულად გართმევამ, სკეპტიკოსებს „იმედები გაუცრუა“. მალე ყველამ აღიარა, რომ კრისტი უოლტონმა მოახერხა ოჯახური ბიზნესტრადიციების შენარჩუნება, Wal Mart-ის ქსელის საქმიანობა კი უფრო წარმატებული და მომგებიანი გახადა.

უოლტონების ოჯახურ იმპერიას საფუძველი გასული საუკუნის 70-იან წლებში, ოჯახის უფროსმა სემ უოლტონმა ძმასთან ერთად დაუდო. ახალგაზრდა სემი, რომელიც მანამდე კლერკად მუშაობდა და თვეში 75 დოლარს გამოიმუშავებდა, ალბათ, ვერც იფიქრებდა, რომ წლების შემდეგ არკანზასში, მის მიერ გახსნილი უნივერსამების ქსელი გლობალურ იმპერიად იქცეოდა.

დღეს უკვე კომპანია Wal Mart-ი მსოფლიოს 15 ქვეყნის მასშტაბით 6 500 მაღაზიას ფლობს და საერთო ჯამში 2 მილიონამდე თანამშრომელს აერთიანებს, რომლებიც ყოველკვირეულად 175 მილიონ კლიენტს ემსახურებიან. კომპანიის ყოველწლიური მოგება კი 300 მილიარდ დოლარს აჭარბებს.

უოლტონების მაღაზიათა ქსელი მომხმარებელს ყველაზე მოთხოვნად საქონელს სთავაზობს – დაწყებული კვების პროდუქტიდან, დამთავრებული საყოფაცხოვრებო ტექნიკით.

ბიზნესის აწყობის შემდეგ, სემ უოლტონმა ოჯახურ საქმიანობაში კრისტის მომავალი მეუღლე ჯონ უოლტონიც ჩართო, რომელმაც ღირსეულად გააგრძელა მამის კვალი. თუმცა, ტრაგიკულმა შემთხვევამ უოლტონების იმპერიაში ცვლილებები შეიტანა.

მეუღლის დაღუპვამდე კრისტი უოლტონი, ალბათ, ვერასდროს იფიქრებდა, რომ ოდესმე ასეთი დიდი გამოწვევის წინაშე დადგებოდა და მარტოს მოუწევდა უზარმაზარი კომპანიის მართვა.

50 წელს მიტანებულ ქალბატონს უოლტონების ბიზნესში აქტიურად ჩართვაზე არასდროს უფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მხარში ედგა მეუღლეს და ხშირად აძლევდა საჭირო რჩევებს. ჯონ უოლტონის გარდაცვალებამდე კრისტი მთელ თავის დროს ერთადერთი ვაჟის აღზრდას უთმობდა და ბიზნესლედობას დიასახლისობას ამჯობინებდა. თუმცა, 49 წლის ქალბატონს არ გასჭირვებია ბიზნესისთვის ალღოს აღება - მან არათუ შეუნარჩუნა Wal Mart-ს წარმატებული კომპანიის სახელი, არამედ თავადაც დაიწყო სხვადასხვა ბიზნესსაქმიანობებში ინვესტირება.

მის ერთ-ერთ წარმატებულ პროექტად შეიძლება ჩაითვალოს კომპანია Firs Solar-ში ინვესტირება, რომელიც მსოფლიოში მეორე უმსხვილესი ფირმაა მზის ელემენტების წარმოებით.

წარმატებული ბიზნესის პარალელურად, კრისტი უოლტონს არასდროს დავიწყებია ქველმოქმედება. 59 წლის ქალბატონი სამშობლოში ერთ-ერთ ყველაზე ფილანტროპ ბიზნესლედად ითვლება, ოჯახთან ერთად კი „ფორბსის“ ყველაზე ქველმოქმედი მილიარდერების რეიტინგშია.

კრისტი უოლტონის საქველმოქმედო გატაცება მეტწილად განათლების სფეროთი შემოიფარგლება. უოლტონების ოჯახის ყველაზე ხმაურიანი ქველმოქმედება მაინც არკანზასის უნივერსიტეტს უკავშირდება. რამდენიმე წლის წინ კრისტი უოლტონმა და მისმა ოჯახმა არკანზასის უნივერსიტეტისთვის არც მეტი, არც ნაკლები 300 მილიონი დოლარი გაიღო – რაც მანამდე არცერთ სახელმწიფო უნივერსიტეტს არ მიუღია ქველმოქმედების სახით. უოლტონების ოჯახის მიერ გაღებული თანხა ასპირანტების მომზადებისა და სტუდენტებისთვის სპეციალური კოლეჯის შექმნისთვის გამოიყო.

სულ კი ოჯახური საქველმოქმედო ფონდის Walton Foundation-ის დაარსებიდან მოყოლებული, ქველმოქმედებაზე დახარჯულმა თანხამ 1,6 მილიარდი დოლარი შეადგინა.

მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქალბატონის „ჰობია“ მუზეუმების დახმარებაც. სწორედ მისი შემოწირულობებით არსებობს დღემდე სან-დიეგოს ბუნების ისტორიის მუზეუმი და მინგეის ხელოვნების საერთაშორისო მუზეუმი.

2006 წელს, კრისტი უოლტონმა, ვიქტორიანული ეპოქისდროინდელი საკუთარი სახლი სან-დიეგოში ქველმოქმედების ადგილობრივ ცენტრს გადასცა, ორგანიზაციის ანგარიშზე კი 4 მილიონი გადარიცხა.

საერთო ჯამში, ამერიკის ერთ-ერთმა ყველაზე დიდმა მეცენატმა, როგორც მას ხშირად უწოდებენ ხოლმე, მხოლოდ 2012 წელს სხვადასხვა საქველმოქმედო ფონებდში 432 მილიონი დოლარი გადარიცხა, რაც მისი მთლიანი ქონების 0,3 პროცენტია.

ბიზნესში მოსვლიდან დღემდე კი 4,6 მილიარდი აქვს დახარჯული სხვადასხვა ქველმოქმედებაზე.

მილიარდერობას მის ხასიათზე არ უმოქმედია – ის კვლავაც არაგლამურული რჩება – იშვიათად ჩნდება ხმაურიან წვეულებებზე და, შესაბამისად, ყვითელი პრესის ფურცლებზე, ცხოვრობს ჯანსაღი ცხოვრების წესით და, განსხვავებით ბევრი მდიდარი ქალბატონისგან, „გარეგნობაში ინვესტიციები“ არ ხიბლავს.

მთავარი მისთვის კვლავ ოჯახური ბიზნესი და კომპანიის რეპუტაცია რჩება, რომლის სათავეშიც მეტწილად, ალბათ, ბედის წყალობით მოხვდა.

**მარი ჯავახიშვილი**

## იცოდით?

# სკოლა, პედაგოგი, მოსწავლე...

**ტერმინი „სკოლა“ მოდის ბერძნული სიტყვიდან და ნიშნავს „მოცულობას“. თავდაპირველად სკოლები იყო ადგილი დისკუსიებისათვის, და არა პირდაპირი სწავლებისათვის.**

ძველ საბერძნეთში „პედაგოგებს“ უწოდებდნენ მონებს, რომლებიც გამოუსადეგარნი იყვნენ მძიმე სამუშაოებისათვის, მაგრამ გამოირჩეოდნენ ერთგულებით. ამ მონებს ბავშვები მიჰყავდათ სკოლაში და მოჰყავდათ უკან. სიტყვასიტყვით – „ბავშვების წამყვანი“.



5 წლის ასაკში მიჰყავთ ბავშვები სკოლაში დიდ ბრიტანეთში, ავსტრალიაში, ოკეანიის ქვეყნებში და დასავლეთ საჰარაში. 6 წლიდან იწყებენ სწავლას მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის საქართველოშიც. ეს ქვეყნებია დაწყებული ამერიკის შეერთეუბლი შტატებიდან, კანადიდან, ევროპიდან და დამთავრებული ზოგიერთი აფრიკული, სამხრეთამერიკული ქვეყნითა და ინდოეთით.

7 წლიდან მიჰყავთ ბავშვები სკოლაში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, ბელარუსის, უკრაინისა და საქართველოს გარდა. აგრეთვე ბავშვები ბალკანეთის ქვეყნებში, ჩინეთში, ეთიოპიაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ტანზანიაში, ზამბიაში, ინდონეზიასა და გვატემალაში.

**12,5-14,5 საათი გრძელდება დღეს უფროსკლასელთა „სამუშაო დღე“.**

**45 წუთი – ასეთია ერთი გაკვეთილის სტანდარტული ხანგრძლივობა. გაკვეთილები არის უფრო მოკლეც, მაგრამ, როგორც ჩანს, არანაკლებ 35 წუთისა.**

28 გაკვეთილი კვირაში უნდა იყოს სანიტარიული ნორმა მე-5 კლასში 5-დღიან სამუშაო კვირაში, ექვსდღიანში – 31 გაკვეთილი. და არანაირ გიმნაზიას ან ლიცეუმს არ შეუძლია, შეიტანოს გაკვეთილების ცხრილში უფრო მეტი გაკვეთილი.

2 საათამდე – ასეთია მე-3-4 კლასებში საშინაო გაკვეთილების მომზადების მაქსიმალური ხანგრძლივობა. ამის გათვალისწინებით უნდა ეძლეოდეთ მათ საშინაო დავალებები. 2,5 საათამდე – მე-5-6 კლასებში. 3 საათამდე – მე-7-8 კლასებში. 4 საათამდე – მე-9-11 კლასებში.

**1960 წელს ბავშვების 76 პროცენტი თანახმა იყო, ეჭამა სკოლის ბუფეტში რასაც აძლევდნენ, დღეს ასეთების რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა.**

**სკოლის მოსწავლეთა მშობლების მხოლოდ 45 პროცენტია შეშფოთებული იმით, რომ სკოლა მათ ბავშვებს ჯანმრთელობას უზიანებს.**

## ცინცხალი ანეკდოტები

**– ჩემო კარგო, ხვალ ჩემი სიდედრი ჩამოდის, – ეუბნება გრაფი თავის მზარეულს.**

**– მესმის, სერ.**

**– ეს მისი საყვარელი კერძების ჩამონათვალია.**

**– დიახ, სერ.**

**– თუ ამათგან ერთს მაინც მოამზადებ, დაუყოვნებლივ გაგათავისუფლებ.**

* * *

**– რა არის შიში და რა არის ელდა?**



**– შიში – ეს ის არის, როდესაც პლაჟზე სიდედრთან ერთად მიდიხარ და მას ტალღა ჩაითრევს, ელდა კი ის არის, როცა მომდევნო ტალღა მას უკანვე გამოაგდებს.**

* * *

**დახურული ჩვენება – ეს არის ის, როდესაც ბიჭი და გოგო სახლში ჩაიკეტებიან და ერთმანეთს რაღაცას აჩვენებენ.**

* * *

**ქრისტიანს მიაჩნია, რომ მუსულმანთა სწავლება მცდარია.**

**მუსულმანს მიაჩნია, რომ ქრისტიანთა სწავლებაა მცდარი.**

**ათეისტი კი მიიჩნევს, რომ ორივე ცდება.**

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24